ცალკე ნომერი **5** კაპ.

# ტალღა

თ ფ ი ლ ი ს ი

სამშაბათი, 8 (21) აგვისტო.

**1906**

წელიწადი პირველი

რედაქციის კანტორა იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, № 102 სახლში.

№ 8 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 8

30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის პროსპ., სახლი № 102.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

## გაზეთის გამყიდველე-ბის საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ პროვინციის აგენტებს თითო ეგზემპლიარი გაზეთისა ეთმობა $3^1/_2$ **კაპეიკათ.** აგენტმა გაზეთის გამყიდველებს უნდა დაუთმოს 4 **კაპეიკათ,** დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ ვღებულობთ. თფილისშიაც გამყიდველებს 4 კაპეიკათ ეთმობათ ეგზემპლიარი.

ვ ე ტ ც ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი

**კვირას, 13 აგვისტოს 1906 წ.**

სახალხო სცენის მოყვარეთაგან, წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი ორიგინალური პიესა

I

თფილისის ჯურღმულები

სცენა თფილისის ცხოვრებიდან 3 მოქ. ა. ბაქრაძისა.

II

ე რ თ ო ბ ა

სცენა რესტორანში 1 მოქ. ალ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ამხანაგები.

ბილეთები იყიდება: გაზეთ „ტალღის“ კანტორაში, დილის 12 საათიდან 3 საათამდე ალექ. ლანდთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში საღამოს 4 საათიდან.

გამგე **ალ. ბაქრაძე.**

სიფხიზლის საზოგადოების სასარგებლოთ კვირას, 13 აგვისტოს ლგოტაკის ველოდრამაში (მიხეილის პროსპ., ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ) გაიმართება

დიდი სეირნობა

შემდეგი პროგრამით: ველოსიპედის დოღი, მოკაზმულ ვირით სეირნობა, მიზანში სროლა, რებუსი საჩუქარით, ტიკინა ამოცანა, ბედნიერების ბოჩკა, მოძრავი სათამაშოები, გრამოფონი, ლატარია-ალეგრა, ბუფეტი, Petit chevaul (პატარა ცხენების ლოლი). დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

იბეჭდება და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-**მიერ შედგენილი ახალი წიგნი:

„სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები“.

### რა გადაუწყვეტიათ?

სათათბიროს მოწვევით მთავრობას თვალწინ დაუდგა კონსტიტუციის აჩრდილი. მთავრობამ ამ საშინელ აჩრდილის თვალიდან მოშორება, დაითხოვა სათათბირო—და ახლა პირდაპირ შეეყარა სახელმწიფოს კოტრობას. ვისაც გაეყარა მთავრობა—ვისაც შეეყარა!

სათათბიროს დათხოვნით გაჯავრებულ ხალხის რისხვას შეკავება უნდა. ამისთვის საჭიროა საომარ დროის წესები; ჩვეულებრივზე ერთი ორათ მეტ ჯარის შენახვა მოითხოვს ერთი ორათ მეტ ხარჯს. საიდან უნდა იშოვოს ხაზინამ ეს აუარებელი ფული იმ დროს, როდესაც ხალხი გატყავებულია, როდესაც უკანასკნელ წლების შიმშილობამ ხალხი ლამის არის სასოწარკვეთილებამდის მიიყვანოს? მთავრობამ ისე გაატყავა თავისი „ერთგულნი ქვეშევრდომნი“, რომ მათ ვეღარაფერს წაართმევს, ათასი პოლიციონტები რომ აამუშაოს. ერთათ ერთი იმედი საზღვარგარეთელი ბანკირებია. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს იქიდანაც კარგი ამბები ვერ მოსდის მთავრობას. თურმე ევროპის ბანკირები წინანდებურათ აღარ ენდობიან რუსეთის მთავრობის სიტყვებს; თურმე ისინი ადგილობრივ ეცნობიან საქმის ვითარებას რუსეთში და უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მთავრობას ახლო მომავალში აუცილებელი სიკოტრე მოელის. ინგლისიდან, მაგ., მრავალი ბანკირი წამოსულა რუსეთში მდგომარეობის გასაცნობათ და სულყველანი იმ აზრს დადგომიან, რომ რუსეთის მთავრობა არასაიმედო მოვალეაო. „რუს. ვედ.“-ის კორესპონდენტი გადმოგვცემს რუსეთში ნამგზავრ რამდენიმე ბანკირის მოხსენების შინაარსს. აი რა უთქვამს ერთს: „ძველ მთავრობისთვის ფულის მიცემა—სიგიჟეა, რადგან იგი „is played aut“ (ე. ი. მისი თამაშობა წაგებულიაო). საზარალო იქნება ფული მიეცეთ იმ რეჟიმს, რომელიც შტიკებზე-ღა იჭერს თავს, და ისიც შერყეულ შტიკებზე“. მეორე ბანკირს თავის მოხსენებაში უთქვამს, რუსეთს დიდი გაკოტრება მოელის და რამდენიმე თვის შემდეგ მთავრობა უეჭველათ მიმართავს საზღვარგარეთელ კაპიტალისტებსო: „რაღა თქმა უნდა, რომ სათათბიროს გარეკის და ძველ წყობილების დაბრუნების შემდეგ მთავრობას ძალიან ცოტა იმედი უნდა ქონდეს, რომ სესხს ვინმე მისცემს. რუსეთის საქმეებს გაცნობილ ფინანსისტებს მშვენივრათ ესმით, რომ რეაქციის მხარის დაჭერა ფულის წყალში გადაყრას უდრის“.

რაღა დარჩენია მთავრობას? საზღვარგარეთელი ბანკირები პირდაპირ უცხადებენ „დუმის გარეკამ“ მოგისპო კრედიტიო. მაშასადამე, კრედიტის აღსადგენათ ისევ დუმის მოწვევა ყოფილა საჭირო? შეფიქრიანდა მთავრობა და მიხვდა, რომ სათათბიროს მოწვევას ვერსად წაუვა. და აი გაზეთებში უფრო და უფრო მკაფიოთ ისმის ხმები, მთავრობას უნდა დუმის მოწვევა დააჩქაროსო. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, სექტემბერში გამოვა მანიფესტი, რომელშიაც გამოცხადებული იქნება, ნოემბერში არჩევნები ინიშნებაო.

მთავრობა ძალაუნებურათ ემორჩილება აუცილებლობას—უნდა მოიწვიოს მეორე სათათბირო. მაგრამ მას მტკიცეთ ქონია გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმაროს, რომ მომავალ სათათბიროში მისი მონამორჩილი დეპუტატები მოხვდენ. ამ აზრით მთავრობას გადაუწყვეტია ჩხურვალე მონაწილეობა მიიღოს მომავალ არჩევნებში, რომ როგორმე არჩევნების „პადლოგი“ მოახდინოს. „პადლოგის“ მქადაგებელ ლიტერატორებს შორის პირველობა, ეჭვი არ არის, ეკუთვნის „ნოვოე ვრ.“-ს თანამშრომელს ცნობილ „იუდუშკა“ მენშიკოვს. აი რას ამბობს ეს უებრო რაინდი უკანასკნელ წერილში: „არ შეიძლება, რომ ცენტრალურმა მთავრობამ სულმთლათ თავი მიანებოს არჩევნებს და ხალხი პარტიულ ანარხიის ლუკმათ გახადოს“. „მთავრობა უნდა არჩევნებში გამოვიდეს, როგორც altera pars (მეორე მხარე), უნდა წამოაყენოს ნიჭიერი კაცები, ორატორები, და იქნება მან მეტი გავლენა მოიპოვოს ხალხზე, ვიდრე ბუნტმა“. აქ „ნიჭიერი კაცები და ორატორები“ მხოლოდ სიტყვის დასამშვენებლათ არის მოყვანილი, ნამდვილათ კი ყველას ესმის, რაში უნდა გამოიჩინონ „ნიჭი“ მთავრობის აგენტებმა. ამავე აზრებით გამსჭვალულია მთავრობაც. უმაღლეს წრეებში თურმე უკმაყოფილებას აცხადებენ ვიტტეს წინააღმდეგ იმაზე, რომ პირველი არჩევნები მან ღვთის ანაბარა დასტოვა. ეხლა თურმე მთავრობა სხვანაირათ მოიქცევა. მას ახლავე დაუწყია ბნელ ძალების მობილიზაცია. მისი აგენტები, როგორც „პერემი“ გადმოგვცემს, ცნობებს კრეფენ პარტიების შესახებ სხვა და სხვა ადგილებში. „უფლებრივ წყობილების პარტიის“ სადგომში თურმე გაცხარებული მუშაობაა. მოწოდებებს ამხადებენ, კრებებს ახდენენ, ორატორებს გზავნიან მუშებთან, პროვინციაში, სტუდენტებში, ქალების კურსებზე და სხვ. არ სძნავთ „ჭეშმარიტ რუსებსაც“ და ხალხში და ჯარში ავრცელებენ შავრაზმულ პროკლამაციებს, რომლებშიაც ურიების და სტუდენტების გასაჟლეტათ იწვევენ.

ამით უნდა მთავრობას ფონს გავიდეს. კრედიტის აღსადგენათ იძულებულია დუმა მოიწვიოს, მაგრამ გადაუწყვეტია არჩევნებში ჩაერიოს და დუმის ფალსიფიკაცია მოახდინოს. ისტორიაში მომხდარა ასეთი ფალსიფიკაციის მაგალითები (მაგ. ნაპოლეონ მესამის დროს), მაგრამ რუსეთის მთავრობა კი შესძლებს ამ „პადლოგის“ განხორციელებას? საეჭვოა!—პირველ არჩევნებშიაც უსაქმოთ არ იჯდა მთავრობა: არჩევნები საომარ წესების ქვეშ გაატარა, რევოლიუციონურ პარტიებს სარბიელი არ მისცა, ოპოზიციის საუკეთესო კანდიდატები დააპატიმრა ან სამარ ალში მისცა,—მაგრამ ყველა ამ ხრიკებმა ვერა უშველა რა: მთელი დუმა (რამდენიმე წევრის გარდა) ოპოზიციონური გამოდგა. ეხლაც ეგრე წაუხდება მთავრობას ანგარიში, მას ფეხი სამარეში უდგას და ვერავითარი ფალსიფიკაცია ვერ იხსნის მას!

### პოლიტიკური მიმოხილვა

**„ორი აიაქსი“.**

რუსეთის მთავრობას ორი შესანიშნავი „მოღვაწე“ ყავს: ერთი თვით პრემიერ-მინისტრი პ. სტოლიპინი, რომელმაც, როგორც ამბობენ, რუსეთი უნდა გააბედნიეროს „ლიბერალურ“ რეფორმებით, მეორეა მისი ძმა—ა. სტოლიპინი, „გამოჩენილი“ პუბლიცისტი „ნოვ. ვრ.“-სი. ეს „ორი აიაქსი“ ერთმანეთს ბევრ რამეში გვანან და სხვათა შორის იმაში, რომ არც ერთს და არც მეორეს არ სწამს რევოლიუციის სიძლიერე, არ სწამთ, რომ ხალხი სერიოზულათ იყოს გამსჭვალული რევოლიუციურ მისწრაფებით. ორივე მსხვილი მემამულეები არიან, და აქაო და ორივე გლეხების ოფლით მონაგარით სუქდებიან, გონიათ, რომ მაშასადამე გლეხებთან ძალიან დაახლოვებულნი ვყოფილვართ და გლეხების ფსიხოლოგია მშვენივრათ გვესმისო.

უმცროსი აიაქსი—ა. სტოლიპინი ამ ცოტა ხანში თავის საბატონოს, თავის „საზნაურო ბუდეს“ სწვევია და „გაოცებული დარჩენილა ამ კუთხის სიმშვიდით და ბედნიერებით“. „გლეხებმა, მამაპაპურ წესისამებრ მომართვეს პურ-მარილი და ერთი ვედრო კვერცხი“. თურმე რაწამს ეს „მამა-ბატონი“ სახლიდან გამოჩნდებოდა, „მომღიმარე და მოხუმარე“ გლეხების ჯგუფები შემოეხვევოდენ და განუწყვეტლივ ემუსაიფებოდენ. ჩვენმა მებატონემ რომ დაინახა ეს სამოთხის სიმშვიდე და ბედნიერება, სიხარულის ცრემლები მოსწოლია და „ნოვ. ვრ.“-ის ფურცლებზე დაუნთხევია. ამიერიდან იგი ყველას თამამათ არწმუნებს, გლეხები რევოლიუციონერები არ არიან, მათ სიმშვიდე და წესიერება სწყურიათო.

არ გასულა ამის შემდეგ ორი დღე, უმცროს აიაქსს ჯერ არ შეშრობოდა სიხარულის ცრემლები, ჯერ არ გამშრალიყო ის მელანი, რომლითაც „ნოვ. ვრ.“-ს ფურცლებზე ა. სტოლიპინის წერილი იყო დაბეჭდილი, რომ სარატოვის გუბერნიიდან პეტერბურგში ამბავი მოვიდა, გლეხებმა დიდი უწესოებები მოახდინეს და სულ მთლათ გადაბუგეს ა. სტოლიპინის მამული, ისე რომ ერთი შენობაც არ გადარჩა, ყველაფერი ცეცხლმა ჩანთქა.

არ ვიცით, რას დასწერს ა. სტოლიპინი „ნ. ვრ.“-ს ფურცლებზე, როცა ამ ამბავს წაიკითხავს; არ ვიცით, უარს იტყვის იგი თუ არა გლეხის ფსიხოლოგიის ცოდნაზე. მხოლოდ მისი მაგალითი პატარა სახლ,რეპში გვიხატავს იმას, რაც მომავალში უეჭველათ დაემართება მთავრობას. უფროსი აიაქსიც, მინისტრ-პრეზიდენტიც, და მასთან ერთად მთელი მთავრობაც დარწმუნებულია, რომ გლეხები ყველაფერს აიტანენ, გლეხები სიწყნარის მოტრფიალენი, მორჩილი კრავები არიანო, ხოლო როცა „გაისმის ხალხის რისხვის ხმა“, მხოლოდ მაშინ მიხვდება იგი თავის შეცდომას. ტყუილათ არ იტყვიან: „სანამ ქუხილი არ ატყდება, პრემიერი პირჯვარს არ გადაიწერსო“.

**ოქტომბრისტების მარცხნივ დაწევა.**

ინგლისში ერთს ბანკირს უთქვამს, რუსეთის მთავრობა „მარტო ხიშტებზეა დამყარებული, და ისიც შერყეულ ხიშტებზეო“. მართლაც სწორეთ ამნაირ სურათს წარმოადგენს დღევანდელი მთავრობა. იგი „მარტო ხიშტებზეა“ დაყრდნობილი, მას არ ემხრობა არც ერთი საზოგადოებრივი კლასი, მას არ თანაუგრძნობს არც პაწია ნაწილი ხალხისა. მთავრობა „განცალკევდა“, ისე განცალკევდა, რომ თვით მსხვილ მესაკუთრეების იდეოლოგები—გეიდენი, შიპოვი, სტახოვიჩი, გუჩკოვი მას ოპოზიციაში უდგანან. მთავრობა რომ ცოტა არ იყოს გონიერულათ მოქცეულიყო, მსხვილ მესაკუთრეთა პარტიის, „მშვიდობიან განახლების“ პარტიის გულს მაინც მოინადირებდა. როგორც ამას წინათაც ვთქვით, ამ პარტიის წარმომადგენლებსა და მთავრობას შუა „პრინციპიალური განხეთქილება არ იყო“, ამ პარტიის წევრები ბევრს არ მოითხოვდენ, მხოლოდ ის უნდოდათ, რომ სამინისტროში 5 ალაგი ქონოდათ. მთავრობამ ეს არ ისურვა, ხელი ჰკრა თავის ბუნებრივ მოკავშირეებს და მარცხნივ დაახეინა. ახლათ შედგარი „მშვიდობიან განახლების“ პარტია უფრო პროგრესიულია, ვიდრე „17 ოქტომბრის“ პარტია, თუმც პირველი პარტია. სახელგამოცვლილი მეორეა, სტახოვიჩი, რომელიც დუმაში მედგრათ იცავდა იმ აზრს, რომ სამინისტრო პასუხისმგებელი არ უნდა იყოსო, ეხლა ხელს აწერს სამინისტროს პასუხისმგებლობას. ახლათ შემდგარი პარტია მოითხოვს საომარ წესების გაუქმებას, 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებას და საჩქაროთ დუმის მოწვევას. პარტია მიწების სავალდებულო გამოსყიდვასაც კი თანხმდება, „თუ უკიდურესობა მოითხოვს. ოქტომბრისტების“ მარცხნივ დაწევა ისე თვალსაჩინოა, რომ ოფიციალური „როსსია“ ირწმუნება, „შიპოვის და ლვოვის პროგრამა კადეტების პროგრამას ძალიან უახლოვდებაო“. „მოს. ვ.“-ი ხომ პირდაპირ „რევოლიუციონურს“ უწოდებს მას. საკვირველი არ არის თუ მთავრობისთვის მთელი ხალხი „რევოლიუციონერია“, რადგან მთელი ხალხის სარგებლობა მოითხოვს ძველ მთავრობის ძირითად განადგურებას.

### დუმა თუ დამფუძნებელი კრება?

როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა დუმის დათხოვნის შემდეგ? როგორი უნდა იყოს ჩვენი სადღეისო ლოზუნგი? ამ კითხვაზე ამხანაგები კამათს შეუდგენ და მეც მსურს ჩემი აზრი გამოვთქვა.

დიახ, მთავრობამ ერთი კალმის მოსმით გააუქმა დუმა. მთავრობას დუმის გაუქმების დროსაც ის მიზანი ქონდა, რაც დუმის მოწვევის დროს; რევოლიუციის ჩაქრობა. მაგრამ როგორც ერთ შემთხვევაში გაუცრუვდა მთავრობას ანგარიში, ისე, და შეიძლება უფროს, მეორე შემთხვევაში დარჩება პირ-დაღებული. დუმას შეუძლია თავისი გაუქმებით გაცილებით უფრო რევოლიუციონური გავლენა მოახდინოს ხალხზე, ვინემ ასეთ გავლენას ახდენდა იგი თავისი არსებობით. დუმამ ვერ მოასწრო მთელი მოძრაობის ცენტრათ გადაქცეულიყო, სანამ იგი არსებობდა; დუმას უფრო ადვილათ და უფრო მალე შეუძლია ასეთ ცენტრათ გადაიქცეს, როცა იგი აღარ არსებობს. ხალხი დუმისათვის მხარის დაჭერას უფრო ნაკლებათ ფიქრობდა მაშინ, როცა დუმა არსებობდა, რადგან ოცნებობდა, რომ დუმა მისგან მხარის დაუჭერლათაც მოუპოვებდა მას მიწას და თავისუფლებას; ხალხი დუმისათვის მხარის დაჭერას უფრო იფიქრებს მას შემდეგ, რაც რომ დუმა გააუქმეს, რადგან მას წამს, რომ დუმა ხალხისთვის მიწისა და თავისუფლების მოსაპოებლათ იბრძოდა და რომ სწორეთ ამისათვის გააუქმეს იგი.

აშკარაა, დუმის ხელ-ახლათ მოწვევა ადვილათ გადაიქცევა ფართო მასის მედგარ მოთხოვნათ და ეს მოთხოვნა ადვილათ გახდება იმ ცენტრათ, იმ საერთო ცოცხალ პოლიტიკურ „საქმეთ“, რომლის გარშემოც თავს მოიყრის და ერთი კაცივით ამოძრავდება მთელი იმპერიის ხალხი. სხვა ასეთი პოლიტიკური საქმე, რომელსაც მასავით შეეძლოს მთელი ხალხის ყურადღების მიპყრობა, დაინტერესება და ამოძრავება დღეს-დღეობით რევოლიუციას არ წამოუყენებია და თუ ჩვენ, მენშევიკებს, არ გვსურს გადავუხვიოთ ჩვენს ნაცად ტაქტიკას, ეს ტაქტიკა უეჭველათ ამ მოთხოვნის (დუმის ხელ ახლათ მოწვევის) ნიადაგზე უნდა დავაყენოთ; ჩვენი ტაქტიკის ლოღიკურათ ბოლომდი გასატარებლათ ხალხის ამ მოთხოვნას უეჭველათ მხარი უნდა დავუჭიროთ და მით სავსებით გამოვიყენოთ ხალხის დღევანდელი პოლიტიკური განწყობილება. ჩვენი სადღეისო ლოზუნგიც სწორეთ ხალხის ასეთ საერთო განწყობილებას და მოთხოვნილებას უნდა შევუფარდოთ.

რა თქმა უნდა ჩვენი მთავარი ლოზუნგი დღესაც, როგორც ყოველთვის საერთო „გალაშქრების“ მოხდენამდე უნდა იყოს—დამფუძნებელ კრების მოწვევა. მაგრამ სხვა და სხვა დროს ამ ლოზუნგს ჩვენ უნდა ვუკავშირებდეთ, ვუფარდებდეთ და ვუთანხმებდეთ არსებულ კონკრეტულ პირობებს, არსებულ საერთო პოლიტიკურ განწყობილებას. მხოლოდ ასეთი ტაქტიკის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მთავარი ლოზუნგი ფართო მასისათვის სულ უფრო მიმზიდველი და პოპულიარული გავხადოთ, თანდათან მთელი ხალხის საყოველთაო ლოზუნგათ გადავაქციოთ და მით რევოლიუციის უმახლოესი მიზნის მიღწევა—დამფუძნებელ კრების მოწვევა—დავაჩქაროთ. ასეთ ტაქტიკაზე დამყარებულნი ჩვენ ვარკვევთ, მკაფიოთ გამოვხატავთ (формулируемъ) და მხარს ვუჭერთ ხალხის ყოველგვარ პოლიტიკურ მოთხოვნილებას, რაც უნდა იგი მცირე იყოს, ოღონდ კი მისი შესრულება ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებდეს, არსებულ წეს-წყობილებაში რაიმე პროგრესიული ცვლილება შეჰქონდეს.

ასეთი მხარის დაჭერა, რასაკვირველია, ოდნავაც არ ნიშნავს, თითქო ჩვენ ვკმაყოფილდებოდეთ იმით, რასაც მხარს ვუჭერთ. პირიქით ამა თუ იმ მოთხოვნილებას ხალხისას ჩვენ მხარს ვუჭერთ სწორეთ იმისათვის, რომ ეს მოთხოვნილება უფრო გავაფართოვოთ და გავანაყოფიეროთ, რევოლიუციის მთავარ მიზანთან დავაახლოვოთ და მით ამ მიზნის განხორციელება დავაჩქაროთ. მოკლეთ რომ ვთქვათ, ხალხის ამა თუ იმ შედარებით მცირე მოთხოვნილებას ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მიზნით, რომ დავაჩქაროთ ხალხის მიერ დიდი მოთხოვნილების შეგნება-შეთვისება.

თუ ჩვენ ფართო მასის მოთხოვნილებას ზურგი შევაქციეთ, ხალხიც ჩვენ ზურგს შეგვაქცევს; ხოლო თუ ამ მოთხოვნილებებს წინააღმდეგ წავედით, მაშინ ხალხიც ჩვენ წინააღმდეგ წავა, და რაც უნდა დაჟინებით ვუჩიჩინოთ, რაც უნდა მჭერმეტყველურათ ვუმტკიცოთ, შენთვის დუმა

საჭირო არ არის, შენ მხოლოდ დამფუძნებელი კრება უნდა მოითხოვოო, თუ ფართო მასას საკმაოთ მტკიცეთ წამს დუმა და მას აუცილებლათ მოითხოვს, ჩვენ ცარიელი ჩიჩინით და მჭერმეტყველობით ვერაფერში მას ვერ დავარწმუნებთ, ჩვენ ამ შემთხვევაში ხალხისათვის გაუგებარ ენაზე ვილაპარაკებთ; ასეთი ენა რევოლიუციონურ განვითარებას ჯერ არ უსწავლებია მისთვის, ამის შესაფერი შეგნება ჯერ არ შეუთვისებია მას.

ხალხის მიერ ასეთი ენის შესწავლას, ასეთი შეგნების შეთვისებას ჩვენ მხოლოდ იმით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ და დავაჩქაროთ, თუ თვითონ ჩვენ ხალხის ენაზე და მის დღევანდელ პოლიტიკურ შეგნების შესაფერათ ვილაპარაკებთ. ხალხი კი დღეს-დღეობით ლაპარაკობს მხოლოდ დუმის ხელ-ახლათ მოწვევის ენაზე, მას დღეს დღეობით მხოლოდ დუმის ხელ-ახლათ მოწვევის საჭიროება შეუგნია. და აი როცა ამგვარათ დავუწყებთ ხალხს ლაპარაკს, მაშინ ის დამფუძნებელ კრების მოწვევაზე ლაპარაკსაც უფრო ადვილათ გაგვიგებს და შეითვისებს კიდეც.

დუმის ხელახლა მოწვევის მოთხოვნა რამოდენიმეთ მაინც უეჭველათ რევოლიუციონური მოთხოვნაა, რადგან დუმის მოწვევის მეოხებით დღევანდელი ყოვლათ შეუზღუდველი თვითმპყრობელობა კონსტიტუციის ნასახით მაინც იზღუდება, ოდნავ მაინც ფრთები ეკვეცება. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ დუმის ხელახლათ მოწვევის მოთხოვნას. მაგრამ ჩვენ ამას, რასაკვირველია, არ ვკმარობთ და არც ვმალავთ, რომ არ ვკმარობთ; პირიქით—სრული სიაშკარავით ვამხელთ დუმის ყოველგვარ ნაკლულევანებას, და ასეთი მხილებით ოდნავაც არ ვაფრთხობთ ხალხს, ოდნავაც არ ვაწყენინებთ მას ჩვენზე ეჭვით ცქერას. დუმის მთელი ისტორია, მთელი მისი ბედიღბალი შეურყეველი და უაშკარავესი საბუთია ხალხის თვალში ჩვენი აზრის დასამტკიცებლათ დუმის ნაკლულევანების შესახებ, დუმის უძლურება ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მთელი ქვეყნისათვის აშკარა შეიქნა.

მაშ რაღა საჭიროა ასეთი უხეირო დუმის ხელახლათ შეკრებაო, გვკითხავს ხალხი? ჩვენ ვუპასუხებთ: ხალხმა უნდა თავგამოდებით, ენერგიულათ მოითხოვოს დუმას, რომ მან დამფუძნებელი კრება მოიწვიოს საყოველთაო და სხ. კენჭის ყრით.

მაგრამ დამფ. კრების მოწვევას კი როგორღა შესძლებს „უძლური“ დუმა, გვკითხავს ხალხი ჩვენ ვუპასუხებთ: როცა ხალხი დუმას ამ საქმეში მედგრათ მხარს დაუჭერს, მაშინ უძლური დუმა ძლიერი შეიქნება და ადვილათ შესძლებს დამფუძნებელ კრების მოწვევას.

მაგრამ თუ კი ხალხის მედგარი მხარის დაჭერით დუმა ასე გაძლიერდება, ბარემ დამფუძნებელ კრებათაც თვითონ გამოაცხადოს თავისთ თავიო, გვკითხავს ხალხი. ჩვენ ვუპასუხებთ: დუმა არ არის მთელი ხალხის-მიერ არჩეული კრებული, ეს არ არის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი, და ამიტომ თვითონ მას ვერ მიანდობს ხალხი დამფუძნებელ კრების უფლებას; მას ხალხის ბრძანებით, ძალ-დატანებით, მისი ჩვენებით და ზედამხედველობით მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევა შეუძლია, მერე კი გაუქმებულათ უნდა გამოაცხადოს თავის თავი.

აი როგორ შეგვიძლია ველაპარაკოთ ხალხს მისთვის გასაგებ ენაზე! აი როგორ შეგვიძლია ვუქადაგოთ და რა ტაქტიკით შეგვიძლია შევათვისებინოთ ხალხს რევოლიუციის უმახლობელესი მთავარი ლოზუნგი, დამფუძნებელ კრების მოწვევა.

ცხადია, რომ ამ ტაქტიკის შესაფერი სადღეისო ლოზუნგი უნდა იყოს შემდეგი: აღდგეს დუმა დამფუძნებელ კრების მოსაწვევათ!

ყოველგვარი სხვა ტაქტიკა და ლოზუნგი ჩემი აზრით, მენშევიკურ და ნამდვილ სოციალდემოკრატიულ ტაქტიკის გადახვევა იქნება, ყოველგვარი სხვა ტაქტიკა და ლოზუნგი მასას სხვა პარტიებისაკენ უზამს პირს და მით რევოლიუციის განვითარებასაც ხელს შეუშლის, მის პროცესს მეტისმეტით დააგვიანებს.

ს. ნემეზიდაშვილი.

# მოძრაობა ჯარში

**კრონშტადტის აჯანყება.** მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა, რომელიც უფრო დაწვრილებით გვიყენებს თვალწინ აჯანყების ამბავს.

აჯანყებული მენაღმეთა როტა პოდკოვნიკ ალექსანდროვის და ბრაგინსკის მოკვლის შემდეგ საპიორების ბანაკთან მისულა. მათ შეერთებია ამ როტის სამოცამდე ჯარის კაცი. საპიორების როტის კომანდირი და ერთი უმცროსი აფიცერი, რომელიც ამ ჟამათ იქ ყოფილა, მენაღმეებს დაუტუსაღებიათ. ხმაურობის გაგონებაზე სათადარიგო როტის კომანდირი გარეთ გამოსულა და წინ მენაღმეების შტიკები უნახავს ამართული. „ცენტრალურ კომიტეტის სახელით“—განუცხადეს მას, „თქვენ უნდა დაგაპატიმროთ. წინათ თქვენ თავის მოვალეობას ასრულებდით, ახლა კი ჩვენი რიგი მოვიდა. ახლა თქვენ ხელს არავინ გახლებს, შემდეგ კი სამართალში იქნებით მიცემული“. დატუსაღებული აფიცრები სარაიაში იყვნენ, სანამ ფორტ „კონსტანტინ“-ს მთავრობის მომხრე ჯარი უკან არ დაიბრუნებდა— ე. ი. ხუთი საათის განმავლობაში. დილის ექვს საათზე ფორტ „კონსტანტინ“-ზე დაჭერილი ჯარის კაცები ძლიერ ყარაულის ქვეშ გამოატარეს და სიმაგრე ლიტკეში შეიყვანეს. მალე მატარებლით გენერალი ადლერბერგიც გამოცხადებულა ქალაქიდან. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა თურმე დაჭერილებს: მიწა და თავისუფლება მოგინდომებიათ, თავისუფლება ზეცაშია, ხოლო მიწაში მალე ჩაწვებით. ყველას დაგხვრეტავთ, თუ მკვლელები არ გვიჩვენეთ, ამ წუთში გამოვიდეს დამნაშავეები! ჯგუფს რამდენიმე კაცი გამოეყო.

7 საათზე სამხედრო—საველე სასამართლო შეუდგა საქმეს გენერალ რაკინტის თავმჯდომარეობით. სასამართლომ მენაღმეთა როტის ერთ ბარაკში გამართა სხდომა. ნაშუადღევის 4 საათისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანეს. სასჯელისთვის იქვე ზღვის პირას აარჩიეს ადგილი, ფორტ „კონსტანტინ“-ზე მიმავალ გზაზე. თვითონ მენაღმეებს გაათხრევინეს მიწა ორ დასჯილ ამხანაგებისათვის. სასიკვდილოთ გამზადებულებს ხელები შეუკრეს და თვალები აუხვიეს, ერთმა სიმღერა დაიწყო... მოისმა ბრძანების ხმა... ზალპის მაგიერ პაჩკებათ ისროდნენ... ერთი, დაჭრილი, ბოძს ჩამოეკიდა, საჭირო გახდა კიდევ ესროლათ რამდენიმეჯერ. მეორეს თვრამეტი ტყვია მოხვდა გულში და გულის ფიცარა გადმოუნგრია.

გამოძიება სწარმოებს. კიდევ ას კაცს მოელის სიკვდილით დასჯა.

**სკატუდენის აჯანყება.** გაზეთების სიტყვით ფინლიანდიის მთავრობას დაუსრულებია სკატუდენში მომხდარ არეულობის მონაწილეების საქმის გამოძიება. დაჭერილ მატროსების სიტყვით აჯანყება 18 ივლისს დილის 8 საათზე დაწყებულა, როცა რამდენიმე რუსული ენის კარგათ მცოდნე გარეშე პირი მოსულა და მათავე მატროსებთან ერთად აჯანყება გამოუწვევიათ. ისინი თურმე მოქმედობდნენ ერთი პირის ხელმძღვანელობით, რომელიც შუახნის ყოფილა და რუსული კარგათ ცოდნია. მატროსების სიტყვით ეს გადაცმული აფიცერი ყოფილა. შემდეგ კიდევ მოსულან რამდენიმე გარეშე პირები, რომელთაგან ბევრი რუსულად და ბევრი ფინურათ ლაპარაკობდნენ თურმე. მატროსების სიტყვით ესენი ყაზარმებში შესულან და იარაღი გამოუტანიათ. ბევრ მატროსს არც კი ცოდნია საქმის ვითარება, ისე შეერთებია აჯანყებულებს. ფინურ ენაზე მოლაპარაკენი ზოგიერთების ჩვენებით წითელ გვარდიელები ყოფილან, ზოგიერთებს უთქვამთ, არ ვიცით ვინ არიანო. მატროსები უარს ჰყოფენ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას და არ იციან ან არ სურთ განაცხადონ აჯანყების მიზეზები. ფინლიანდიის მთავრობას რუსეთის მთავრობისათვის წარუდგენია გამოძიების ოქმები.

გენერალ-ლეიტ. ბარონ ზალცას 22 ივლისს ბრძანება გაუცია ორი მორუჩიკის და ხუთი ჯარის კაცის სამხედრო სამართალში მიცემის შესახებ იმ უფლების ძალით, რომელიც მისთვის უმაღლესი ნებით მიუციათ. 28 ივლისს ღამის 12 საათზე სასამართლოს სიკვდილით განაჩენი გამოუტანია და 29 ივლისს დილის 11 საათზე განაჩენი სისრულეში მოუყვანიათ.

# ახალი ამბები

თვენისში, თფილისის ქართველ სამღვდელოების ინიციატივით თფილისის სამღვდელოებამ კავკასიის ნამესტნიკს ქაღალდი მისცა, სადაც ქართველთა გარდა ხელს აწერდნენ სომეხთა და მუსულმანთა სამღვდელოების წარმომადგენელნიც. ქაღალდში ნათქვამი იყო დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ 27 სალდათის გასამართლება და საზოგადოთ მოესპოთ სიკვდილით დასჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებდნენ მღვდლები, ჩვენ დავხურავთ ეკლესიებს, რადგან არ შეგვიძლია კაცის მკვლელებისთვის ვილოცოთ. როგორც გადმოგვცეს, კავკასიის ნამესტნიკს ეს ამბავი სინოდის ობერ-პროკურორისთვის უცნობებია, რომლისაგან გუშინ სინოდალურმა კანტორამ პასუხი მიიღო. სინოდი წინადადებას აძლევს ალავერდის ეპისკოპოსს პეტრეს ჩააგონოს იმ მღვდლებს რომლებიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ განცხადებაზე ხელს აწერენ და, თუ ისინი ყურს არ დაუგდებენ და თვითნებობაში არ გამოტყდებიან, იმ შემთხვევაში სამართალში მისცეს ისინი, როგორც ეპისკოპოსის ურჩნი.

◆ 2 აგვისტოს ვაგზლის ქუჩაზე ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ **პატრულმა 2 სალდათი დაიჭირა.** ესენი აღმოჩნდენ: ა. ოგანოვი და ა. ფახჩიანცი. ამათ თან მიქონდათ ტომრები, რომლებშიაც აღმოჩნდა: 36 გირვანქა თოფის წამალი, შვიდი კოლოფი ფისტონი, თითოში 250 ცალი, ერთი ხანჯალი, 1000 ცალი კაპსული, 36 ბერდანის პატრონა, სამი საწონი ქვა, რკინის ჩაქუჩი და რკინის მაშა, რომლითაც მაღაზიების რკინის კარებს ამტვრევენ და სხვ.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იქ კვირას, 6 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე ვიღაც უცნობს **რევოლვერით მოუკლავს** ბათუმის საქონლის სადგურის თანაშემწე ინჟენერი ლევ დალი. მკვლელი მიმალულა.

◆ 5 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე კოჯრის გზატკეცილზე ეტლით მიმავალი ორი დედაკაცი **ოქროყანის დუქნების მახლობლათ** 6 შეიარაღებულ უცნობს გაუჩერებია და 50 კაპ. წაურთმევია. ნახევარ საათის შემდეგ იმავე გზით გაუვლია თფილისის საოლქო სასამართლოში მოსამსახურე ა. კარახანოვს და სხვებს. შეიარაღებულ უცნობებს ესენიც გაუჩერებიათ და ფული მოუთხოვიათ, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ შეშინებიათ და რევოლვერები დაუხლიათ, რომლის შემდეგ უცნობნი გაქცეულან. კარახანოვმა და სხვებმა ეს ამბავი საჩქაროთ იმ გზაზე მოყარაულე საერობო დარაჯს მუსა კუზიკოვს შეატყობინეს. კუზიკოვი სხვა დარაჯებთან ერთათ უკან გამოედევნა უცნობთ, რომელნიც ბოტანიკურ ბაღისკენ გაიქცენ. დარაჯებმა უცნობთ სროლა აუტეხეს, მოკლეს ერთი, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოუკვლევიათ, ხოლო მეორე დაიჭირეს. ამასობაში იქვე მახლობლათ მდგომ პატრულმაც რამდენჯერმე თოფი ესროლა დაჭრილ უცნობს, მაგრამ [illegible] მოუკლავს. დარაჯებმა 10 საათამდე ეძებეს დანარჩენები. ამ ადგილზე მოვიდა თფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. [illegible]გუშვილი, რომელმაც მოკლულ უცნობის საყარაულოთ გამოსაწვევათ ოქროყანის მცხოვრებთან საერობო დარაჯები გაგზავნა. გზაზე ტყიდან ამ უკანასკნელთ ისევ სროლა აუტეხეს. მეორე დღეს ამ ადგილზე კიდევ ერთი მოკლული უცნობი ნახეს.

◆ გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი **არქიმანდრიტი ნიკოლოზი** (ნამორაძე) ამ დღეებში გაემგზავრება რუსეთში იმ უდაბნოში, სადაც იგი სინოდის განკარგულებით გადაიყვანეს.

◆ თფილისში უკვე ჩამოვიდა **ახალი ეგზარხოსის ბარგი-ბარხანა.** თვით ეგზარხოსის ნიკონის მობრძანებას 26 აგვისტოსთვის მოელიან.

◆ 3 აგვისტოს თფილისში **გაიფიცა** სპილენძის ქარხნის მუშები 3500 კაცამდე. ამათ ქარხნის პატრონს ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს. მუშები უმეტესად თათრები არიან.

◆ ამას წინეთ ავლაბრის მცხოვრებლებმა **ნამესტნიკს** თხოვნა მისცეს, რომლითაც შუამდგომლობენ ძველ პირობებში დაუტოვონ მათ ავლაბრის მიწები. ავლაბრელების ჩვენებით მე-40 წლებამდე ეს მიწები სოფლის საკუთრებას შეადგენდა. შემდეგ კი სოფ. ავლაბარი ქალაქს შემოუერთეს და ხაზინამ ავლაბრის მცხოვრებთაც თავისი ხარკი დაადო; ამასთან ქალაქს მოუსურვებია ავლაბრის ავარაკის და[illegible] გირავება. ავლაბრელები სთხოვენ ნამესტნიკს, დაგვიხსენით ქალაქის გამგეობისაგან და ავლაბრის მიწები ჩვენვე დაგვიტოვეთ ძველ პირობებშიო. თფილისის გუბერნატორმა ეს თხოვნა ქალაქის თავის მოადგილე ვ. ჩერქეზიშვილს გამოუგზავნა და დაავალა ამ საგანზე ცნობები მოაგროვოს და თავის დასკვნა გამოუგზავნოს.

◆ **შორაპნიდან** იტყობინებიან, რომ სოფელ დელიკაურში ვიღაც უცნობთ დაუწვავთ მღვ. სპ. ჩიტაშვილის დუქანი. ზარალი 6000 მანეთამდეა.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა პირველი კრება იმ კომისიისა, რომელსაც ქალაქის [illegible]იმკების აკრეფის საქმე აქვს მინდობილი.

◆ თფილისში ჩამოვიდა სახაზინო თეატრის **ანტრეპრენიორის რწმუნებული,** რომელიც ხელშეკრულებასა სდებს მომუსიკეებთან და ხოროსთან მომავალ სეზონისთვის.

◆ შაბათს 5 აგვისტოს ღამის 12 საათზე „ბაირსკი“ ქუჩაზე მომავალ ამხანაგებს სიმონ ივანესძე სოხაძეს, და ვალოდია [illegible]

# ფელეტონი

—:—

**სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუცია**

(თარგმანი)

II*)

**კონსტიტუციონურ მთავრობის ორგანოები.**

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე კონსტიტუციონურ სახელმწიფოში არსებობს სამგვარი უფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლოსი. მეთვრამეტე საუკუნე ხალხის მმართველობისთვის ბრძოლას მოუნდა, რაიცა გამოიხატა ამ საუკუნის მოძღვრებაში, რომელიც ქადაგებდა სხვადასხვა უფლებების დაცალკევებას. ამ თეორიის მატარებელმა—მონტესკიემ-თავის „კანონების დედა-აზრში“ აღწერა იმ დროს არსებული ინგლისის კონსტიტუცია და პირველმა გარკვევით და საფუძვლებით აღიარა ასეთი გაყოფის პრინციპი: „ძალმომრეობის ასალაგმავათ“, ამბობს ის, საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ ერთმა დაწესებულებამ მეორეს თავისუფლება შეავიწროვოს...“ თავისუფლება არ არსებობს იქ, სადაც ერთ და იმავე პირს ან დაწესებულებას ხელთ უპყრია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალა, რადგან ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე მეფე ან სენატი გამოსცემს მტარვალურ კანონებს, რომ მტარვალურათ განახორციელოს ის...“ თუ კანონმდებელი მოსამართლეც იქნება, მაშინ მოქალაქეთა სიცოცხლე და კეთილდღეობა განსაცდელში ჩავარდება, რადგან მსაჯულს შეუძლია კანონმდებელი გახდეს; თუ იმას აღმასრულებელ ძალას მისცემთ, მაშინ ის ტარვალი გახდება!.. სათათრეთში, სადაც მმართველობის სამივე სახე სულთანის ხელშია, გამეფებულია საშინელი ძალმომრეობა“. ასეთია თეორია. რომ გავეცნოთ პრაქტიკას, სახელდობრ იმას, თუ მმართველობის სხვადასხვა წარმომადგენლები როგორ ადევნებენ თვალყურს ერთმანეთს, სად ვის ეძლევა უპირატესობა და რამდენათ ყველა ისინი ხალხის ნებას ემორჩილებიან, საჭიროა დაწვრილებით გავიცნოთ მათი მოქმედება.

თუ გვსურს გავიგოთ ძაღლის სხეულის აგებულება, საჭიროა ავიღოთ მკვდარი ძაღლი და გავსინჯოთ მისი ძვლები, ნერვები და სხვ., მაგრამ ძაღლის ცხოვრების გასაცნობათ საჭიროა ცოცხალი ძაღლის შესწავლა. ძაღლის ლეშში რომ გავსჭრათ, ჩვენ გავიგებთ, მაგალ., როგორ არის მოწყობილი ძაღლის კუჭი, მაგრამ თუ გვინდა გავიგოთ, როგორ ინელებს ის საჭმელს, საჭიროა დავუკვირდეთ თვითონ ცხოველს. საზოგადოებრივი დაწესებულებანიც ამ ორი მხრით შეგვიძლია გავიცნოთ, როგორც მკვდარი და როგორც ცოცხალი ორგანიზმები. მათი გარეგანი სახე გამოხატულია კონსტიტუციაში, მათი ცხოვრების გასაცნობათ საჭიროა ხალხის პოლიტიკური ისტორიის და პოლიტიკური ცხოვრების გაცნობა.

კანონების ბედი ადამიანის ბედს წააგავს. ერთი იბადება, მეორე კი კვდება. არ არსებობს მუდმივი კანონი და არსებულს არ შეუძლია ცხოვრების ყველა მოვლენა აღნუსხოს. წარმოების ყოველი ახალი დარგი, ახალი აღმოჩენა ან გამოგონება იწვევს ახალი კანონის საჭიროებას. ქალაქების ზრდა, ხალხის განათლების განვითარება, მუშათა პარტიების აღორძინება და სხვა და სხვა... ყველა ამისთვის შესაფერი კანონია საჭირო. რამდენადაც უფრო რთულია ქვეყნის ცხოვრება, იმდენათ უფრო ძნელია შესაფერი კანონების გამოცემა, ე. ი. ისეთი ნორმების დადგენა, რომელიც ნათლით ხატავს ცხოვრების ვითარებას და მის ასრულებას ყველასათვის შესაძლებლათ ხდის, როგორც სამართლიანს. მართალია, ეს სამართლიანობა, არაოდეს არ არის ნამდვილი სამართლიანობა, ის მხოლოდ გაბატონებულ კლასების სურვილის დაკანონებაა. ჯერ არსად არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ნამდვილი ხალხის მართვა-გამგეობა არსებობდეს, მაგრამ ხალხი ყველგან იბრძვის იმისთვის, რომ გაბატონებულ კლასებს ოჯახობს და კანონმდებლობაში თავისი გაიყვანოს: გაგზავნოს პარლამენტში თავისი წარმომადგენელი, მიაღებინოს მას სრული დემოკრატიული პროგრამა და სხვ.

თითქმის ყველგან ხალხის წარმომადგენლები, საკანონმდებლო კრების წევრები, შეადგენენ ორ სხვა და სხვა პალატას: პალატას ხალხის პირდაპირი წარმომადგენლობისას, რომელნიც არჩეულნი არიან განსაზღვრული ვადით და პალატას განსაკუთრებული ხასიათის კანონმდებლობისას, რომელნიც ან წარჩინებულნი გვარისანი არიან, როგორც ეს ინგლისშია, ან დიდი სიმდიდრის პატრონნი, როგორც მაგალ., ბელგიაში.

შევჩერდეთ ჯერ პირველ პალატაზე; უმეტეს შემთხვევაში იმათ ირჩევენ საყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრით. საყოველთაო არჩევნების შევიწროება ბევრგვარია: მიღებულია, რომ ადამიანების ორ სქესათ გაყოფა თავისთავად მოასწავებს ხმიანების და უხმო ადამიანების არსებობას; უნიჭიერესი ქალები მოკლებულნი არიან იმ უფლებას, რომელიც ყოვლად სულელ მამაკაცებს აქვს. მხოლოდ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში შეუძლიათ ქალებს ამ უფლებით სარგებლობა, მაგრამ დეპუტატათ ყოფნის უფლება არც იქა აქვთ. არჩევნების უფლებას მოკლებულნი არიან აგრეთვე „ყოფილი ადამიანები“, მაწანწალები, უსახლკარონი და მათხოვრები. რასაკვირველია, არც ერთ კონსტიტუციაში ეს პირდაპირ არ არის მოხსენებული. კონსტიტუციის შესწავლა, როგორც მკვდარი ძაღლის დაკვირვება, გვამცნევს, რომ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მხოლოდ „შეშლილები, სისხლის სამართალში მიცემულნი, ქალები და სხ. მაგრამ ის კი სავალდებულოა, რომ ამრჩეველი ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში გადაუწყვეტელ დროს უნდა ცხოვრობდეს—სახელდობრ—ერთი წლიდან 30 დღემდი. ცოცხალი ძაღლის შესწავლა გვეუბნება, რომ ეს შენიშვნა გამოგონილია იმისთვის, რომ არჩევის უფლება წაერთოს იმას, ვინც საზოგადოებრივ კიბის დაბალ საფეხურზე დგას. რამდენია ისეთი, რომელიც სამუშაოს საძებნელათ მუდამ ერთი ადგილიდან მეორეში გადადის და ბევრს ხომ თავშესაფარიც კი არ აქვს. ბევრი კონსტიტუციაა ისეთი, რომელსაც ქონებრივი ცენზი ჯერ კიდევ არ გადაუგდია: ამორჩევის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც გადაჭრილ გადასახადს იხდის. მთელი მე-19 საუკუნე ამ ცენზის გაუქმების ან სრულიად მოსპობისთვის ბრძოლას მოუნდა; ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ინგლისში ამომრჩევლები ორ კლასათ იყოფიან: სახლის პატრონი ან ის, ვინც მთელ სახლს ქირაობს (ინგლისში თითქმის ვერ შეხვდებით დიდ სახლებს; აშენებენ პატარა სახლებს ცალკე ოჯახისთვის; მაგრამ ბევრს არ შეუძლია მთელი სახლის დაქირავება და ამიტომ იძულებულია ან ერთი-ორი ოთახი, ან ოთახის მხოლოდ კუთხე დაიჭიროს) უსათუოდ შედის ამომრჩეველთა სიაში; იმათ, ვინც რამდენიმე ოთახს ქირაობს, ხმის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იხდიან ბინის ქირას არა ნაკლებ ასი მანეთისა. ინგლისში ისე ძვირია ბინები, რომ ას მანეთზე ნაკლების გადამხდელს ცოტას იპოვით, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამათ თვითონ უნდა იზრუნონ თავისი გვარების საარჩევნო სიაში ჩაწერაზე. ეს კი ძალიან ბევრისთვის მოუხერხებელია და ამიტომ მათ არჩევის უფლება ფაქტიურათ ეკარგებათ. ამავე პრინციპის ძალით საარჩევნო უფლებას მოკლებულია ხელზე მოსამსახურე, და ყველა ოჯახის წევრები სახლის პატრონს გარდა. ბელგიაში კიდევ უფრო უცუდათ არის საქმე დაყენებული. როცა მუშათა კლასმა გააუქმებია ქონებრივი ცენზი, მაშინ მდიდრებს მუშების გაძლიერების შიშმა გული გაუხეთქა და დამფუძნებელ კრების წევრებმა შემდეგი ხერხი მოიგონეს: ყოველ მოქალაქეს თითო ხმა ეძლევა, მაგრამ იმას, ვისაც დიდი ქონება აქვს ან დიდი განათლება მიუღია, ან შესაფერი თანამდებობა აქვს, კიდევ ეძლევა ხმა სამამდე. ცხადია, ეს ხერხი საყოველთაო არჩევნების ფარული უარისყოფაა. ავსტრიაში ასეთი წესია შემოღებული: იქ ამომრჩევლები ხუთ კლასათ იყოფიან: მსხვილ მემამულეებათ, ვაჭრებათ, გლეხებათ, ქალაქის მცხოვრებლებათ და „რაზნოჩინცებათ“. პირველ კლასს შეადგენენ მსხვილი მემამულეები, რომელნიც 50—250 გულდენამდი პირდაპირ გადასახადს იხდიან და თან რაიმე ტიტულს ატარებენ; მეორე კლასს—სავაჭრო საზოგადოებათა წევრნი; მესამეს და მეოთხეს—ვინც არა ნაკლებ ხუთი გულდენისა პირდაპირ გადასახადს იხდის; მეხუთეს—ყველა, გარდა ხელზე მოსამსახურეებისა. ამას გარდა გლეხობას პირდაპირი არჩევნის უფლება არ აქვს: ის ირჩევს ამომრჩევლებს და ეს უკანასკნელნი — დეპუტატებს. ორ-სართულიანი საარჩევნო სისტემა [illegible] პირველი კლასის 63 კაცზე ერთი დეპუტატი მოდის, მეორე კლასის 27—1, მესამე კლასის 11,600—1 და მეოთხე კლასის 2918—კიდევ ერთი.

ასეთია საყოველთაო საარჩევნო უფლების უმთავრესი შევიწროებანი. სადაც ასეთი შევიწროება არ არსებობს, იქ მდიდრები მაინც ახერხებენ ამას საარჩევნო ოლქების უთანასწორო დაყოფით. გრამ[illegible]

*) იხ. „ტალღა“ № 6.

მულოვს შეხვედრია ვიღაც ორი უცნობი კაცი, რომლებსაც დანით დაუჭრიათ ორივე ამხანაგები. პირველი იქვე მომკვდარა და მეორე კი დაჭრილი არის. მიზეზი, უეჭველია ის არის, რომ სოხაძე და მამულოვი სოციალდემოკრატები იყვნენ.

✦ ამხ. კოწია სულაქველიძეს სვირიდან გამოჰკიდებია ერთი ჟანდარმი და **დაუჭერია**. ცოტა ხნის შემდეგ გაუთავისუფლებიათ; სულაქველიძეს ხელი აქვს ნაღრძობი.

✦ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, ვიღასაც ანარხისტების სახელით **დაუჭრიათ ვაჭარი კემულარია**.

✦ კვირას, 4 აგვისტოს, აბაშის სადგურზე საქონლის 2 მატარებელი ერთმანეთს დაჯახებიან, რომლის დროს რამდენიმე ვაგონი დამტვრეულა და რამდენიმე კაცი დაჭრილა. სხვათა შორის თფილისის რკინის გზის ლაზარეთში ჩამოიყვანეს მძიმეთ დაჭრილი ობერ-კონდუქტორი კუკავა და კონდუქტორი კარკალაია.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელ ჩვენ გაზეთის ახალ ამბებში სხვათა შორის სწერია: „სარქისოვს დაუჭერია ასლამაზოვი და სხვა“.. უნდა იყოს: „დაუჭერია ბეჟანოვი და სხვ“. ყველგან, სადაც ასლამაზოვია ნახმარი, უნდა იყოს ბეჟანოვი.

## მუშათა შორის.

—

**ფოთის უსაქმოთ დარჩენილ მუშათა შორის.** 23 ივლისს ადგილობრივ თვითმართველობის დარბაზში გაიმართა უსაქმოთ დარჩენილ მუშათა კრება. პირველ ყოვლისა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა უდანაშაულო მსხვერპლთ, უდროვოთ დაკარგულ ამხ. რიჟინაშვილისა და გერცენშტეინის ხსენებას. ამას შემდეგ წეს-რიგში შეტანილ იქმნა შემდეგი საკითხები: 1) საბჭოს მოხსენება, 2) ბ-ნ სამსონ ჩიქოვანისა და მისი ლაშქრის თავდასხმა, 3) ხელ-ახალი რეგისტრაცია და 4) მუშებისაგან სხვადასხვა მოხსენებანი. საბჭოს ერთმა წევრმა წაიკითხა იმ მოთხოვნების პასუხი, რომელიც საბჭომ კრების დავალებით წარუდგინა უპრავას. პასუხი მართლაც დიდის ოინბაზობითა და თვალის ასახვევათ იყო შედგენილი. ზოგ მოთხოვნებზე სრული უარი იყო, ზოგზე არც უარი არც პირობა. კრებამ თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე განიხილა და უპრავას შესაფერი მოთხოვნები წარუდგინა. ჩიქოვანის შესახებ ბევრმა ადგილობრივმა და სამტრედიიდან ჩამოსულმა ამხანაგებმაც ილაპარაკეს. დაჰგმეს მისი ამნაირი მოღვაწეობა და ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ღრმათ აღშფოთებულნი ჩიქოვანის მოქმედებით ზიზღსა და უღრმეს პროტესტს ვუცხადებთ მას, ხოლო ღრმა მწუხარებას ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც თავის უვიცობით და შეუგნებლობით ასე ადვილათ ეხვევიან მტრის მახეში და ხდებიან საზიზღარ იარაღათ მათ ხელში. აი, ჩვენც უმუშევრები ვართ, მაგრამ გვესმის ჩვენი უსაქმოთ დარჩენის მიზეზები და ამიტომ ამხანაგებს კი არ ვეჩხუბებით, არამედ მჭიდროთ უკავშირდებით, რომ საერთო სოლიდარობით სამუდამოთ მოვსპოთ ის საზოგადო მიზეზები, რომლებიც შობენ ცხოვრებაში ამნაირ უკუღმართობას. ამისათვის მოგიწოდებთ, ამხანაგებო, მიბაძეთ ჩვენს მაგალითს, ზურგი აქციეთ ჩიქოვანსა და მის ძმებს და შემოგვიერთდით ჩვენ, ვინაიდან მხოლოდ ამნაირ მჭიდრო ორგანიზაციას შეუძლია მოგვიპოვოს გამარჯვება“.*) ხელმეორე რეგისტრაციისათვის ამოირჩიეს შვიდი კაცისაგან შემდგარი ცალკე კომისია. მეოთხე საკითხიდან საყურადღებო მხოლოდ თათრების საჩივარი იყო, რომელნიც ამბობდნენ: სამუშაოდან გვითხოვენ და არ ვიცით კი რა დავაშავეთ. საქმის გამოსაძიებლათ კრებამ ამოირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. ამის შემდეგ კრება უნდა დახურულიყო, მაგრამ ხალხმა ერთხმათ მოითხოვა ამხანაგებისაგან, რომ მათ ელაპარაკათ დუმის გარეკისა და საზოგადოთ დღევანდელი მომენტის შესახებ. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა ერთმა ამხანაგმა, რომელმაც დაასურათა რუსეთის რევოლიუცია დუმის მოწვევამდის და შემდეგ. ლაპარაკი დაათავა შემდეგი სიტყვებით: „დუმის გარეკით მთავრობას უნდოდა ხალხი ქუჩაში გამოეწვია; ის დარწმუნებული იყო, რომ ამ პირობებში მხოლოდ პროლეტარიატი გამოვიდოდა ბრძოლის ველზე და მისი დაძლევა არც თუ ისე ძნელი იყო. პროლეტარიატი კი უფრო დინჯათ მოიქცა, არ მიიღო მთავრობის გამოწვევა და ამით მან ნათლათ დაამტკიცა თავისი შეგნება და სიმწიფე. ეხლა ის ყველა რევოლიუციური ძალების მობილიზაციას ეწევა. მჭიდროთ აკავშირებს მასას ლეგალურსა თუ არალეგალურ ნიადაგზე და ფართოთ სარგებლობს ყველა იმ ლოზუნგებით, რომელთა გარშემოც კი შეიძლება მასიური შეკავშირება და მით რევოლიუციის გაღრმავება. ამნაირი შეგნებული ბრძოლით ის უფრო ადრე უახლოვდება თავის მიზანს.—კიდევ რამდენიმე ბიჯი ამ ნიადაგზე და დაკრავს ნეტარი წუთი ხალხის გამარჯვებისა“.

ხალხი აღტაცებით მიეგება ორატორს. პირველ საათზე კრება დაიშალა.

ვინ—ლან

—

**პ. რატიანიძის, ს. ოგანეზოვის და პ. ქალანთაროვის მუშების მოთხოვნები:**

1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) მოემატოს ჯამაგირი ყოველ მუშას ამგვარათ: ვინც ერთ მანეთზე მეტს იღებს 20 კაპ. დღეში, ვინც მანეთზე ნაკლებს 30 კაპ.; 3) შეგირდს, რომელსაც უმსახურნია 3 წლიდან 4 წლამდე დაენიშნოს 80 კაპ. დღეში; 3) მოისპოს შეგირდების სახლში შენახვა და მოსამსახურობა; 5) შეგირდებს, რომელთაც უმსახურნიათ ერთ წლიწადს, დაენიშნოს 40 კაპ. დღეში, ხოლო 2 მ. სახლის ქირა და თვეში 4 მან. ტანისამოსის ფული; 6) ახალ შეგირდს დაენიშნოს დღეში 20 კაპ. პურის ფული და ხუთი მანეთი თვიური ჯამაგირი; 7) შეგირდების მიღება შეიძლება არა ნაკლებ 15 წლისა; 8) შეგირდების ტვირთი ისაზღვრებოდეს 30 გირვანქით; 9) მოისპოს ნაჭრობით საქმის აღება; 10) მუშების მიღებ-დათხოვნა მუშებისავე საქმე იყოს; 11) ზრდილობიანი მოპყრობა; 12) გაფიცვისთვის არვინ იქნას დათხოვნილი; 13) გაფიცვის დროს სრული ჯამაგირი; 14) გაფიცვის დროს დაჭრილ მუშას მიეცეს ექვს თვემდი სრული ჯამაგირი და შეენახოს ადგილი განთავისუფლებამდე; 15) თუ ხაზეინმა ქარხანა დაკეტა, მუშებს მიეცეს სამ-სამი თვის ჯამაგირი; 16) თუ ქარხანა ან საქმე სხვა ხაზეინის ხელში გადავიდეს, ჩვენი მოთხოვნები იმან დააკმაყოფილოს; 17) წელიწადში ერთი თვე თავისუფლება ჯამაგირით და ადგილის შენახვით; 18) მუშებს ეძლეოდეთ ჯამაგირი თვეში ორჯერ, 15-ში და 30-ში; 19) მიღებულ იქმნან დათხოვნილი მუშები თავიანთ ადგილზე.

ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ ვიძლევით ერთი დღის ვადას. **მიშა.**

—

**გლდანის მეხრე მეურმეთა გაფიცვა.** ჩვენ, სოფელ გლდანის მეხრე-მეურმეებმა, რიცხვით სამოცდა ათმა (70) კაცმა, ვიქონიეთ მსჯელობა ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაზე, რომ მით თავი დავაღწიოთ ჩვენზე გაბატონებულ მემამულე ხაზეინებს. ამასათვის უკანასკნელათ შევიკრიბენით და ერთხმათ მოვითხოვეთ ექსპლოატატორ ხაზეინებისგან შემდეგი:

1) მოემატოს ჯამაგირები ყველას მანეთზე ექვსი შაური; 2) სადილ-ვახშამი მოგვეცეს ღვინით რიგიანი. პური ახალი გამომცხვარი; 3) ღამის მეხრე რომ დაბრუნდეს დილას სამუშაოდან, დაისვენოს დილიდგან თორმეტ საათამდე და მერმე როცა დაბრუნდეს ტყიდან მთელი დღე დაისვენოს; 4) სარეცხის გარეცხვა ხაზეინების ვალია, უკეთუ არ გაგვირეცხს გასარეცხი ფული მოგვეცეს თითოეულს კვირაში ერთი აბაზი (20 კ.); 5) კვირა უქმე დღეებში თავისუფლება (დასვენება); 6) ჯამაგირების მიღება თვეში ერთხელ ყოველივე თვის ბოლოში, როგორც თვიურს, ისე წლიურს; 7) ექიმი და წამლობა ხაზეინების ხარჯით ჯამაგირის შენახვით; 8) მოისპოს ყოველივე ჯარიმა; 9) მოჯამაგირეების დათხოვნა და მიღება მოჯამაგირეების უფლება იყოს; 10) აბანოს ფულათ მოგვეცეს თითოეულს თვეში ათი შაური (50 კ.); 11) ფეხსაცმელი თავის წინდით ხაზეინების ვალია; 12) თუ რომ ხაზეინი მოჯამაგირეს დაითხოვს, შეატყობინოს ერთი თვით წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცეს სამი თვის ჯამაგირი; 14) თუ რომ მოჯამაგირე წასვლას აპირებს განუცხადოს ხაზეინს ორი კვირით წინ 15) მოვითხოვთ ზრდილობიან მოპყრობას; 16) ამ გაფიცვისთვის არავინ იქმნას დათხოვნილი და მოგვეცეს გაფიცვის ფული; 16) ზემოთ ნაჩვენებ მოთხოვნილებებს მოვითხოვთ მკათათვის პირველიდან; 18) თუ რომ ხაზეინები წინააღმდეგ წავლენ, და არ დააკმაყოფილებენ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს და დაგვითხოვენ, მოგვეცეს თითოეულს სამ-სამი თვის ჯამაგირი.

კრების მონდობილობით ერასტო.

—

**შეცდომის გასწორება.** „ტალღის“ მე 6 ნომერში შეცდომითაა დაბეჭდილი: „ტყიბულის ნახშირის მღაროები—აქაურ ნახშირის მადანზე 700 კაცამდე მუშაობს, რომლებიც თვეში ამზადებენ 300 ვაგონ წმინდა ნახშირს“ უნდა იყოს: 3,000 ვაგონს.

## პროვინცია.

—

**ჭიათურა.** ჭიათურას ერთი ბედნიერება ეწვია: მას სოციალისტ-რევოლიუციონერები შემოესიენ, ე. ი. რამდენიმე ინტელიგენტი, რომლებმაც თავისი თავი ჭიათურის სოციალისტ-რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციათ გამოაცხადეს. ისინი უცბათ შეუდგნენ პროპაგანდა-აგიტაციას: აქაც, როგორც ყოველგან დაიწყეს სოციალდემოკრატების ლანძღვით, მერე შეუდგნენ ხალხის გაბედნიერებას; რა გინდა სულო და გულო, რას არ პირდებოდნენ ისინი ხალხს: მიწას, მთელ მიწას, მთელი მიწის გათანასწორებას, პროლეტარიზაციის თავიდან აცილებას, გამდიდრებით სოციალიზმის დამყარებას. მაგრამ ვერას მამოჩვენობით მუშებს თავისკენ პირი ვერ აბრუნებინეს; ყოველგან ს.-დ.-ები იმარჯვებდნენ. ესერებმა ეს გამარჯვება ს.-დ. დემაგოგიას მიაწერეს და ამიტომ გული მაინც არ გაიტეხეს. როცა საქმიან მუშებში ვერაფერი გააწყვეს, მაშინ მოინდომეს უსაქმოთა გაბედნიერება. მათ მოახდინეს უსაქმოთა კრება, რომელზედაც ამოარჩევინეს უსაქმოთა ბიურო, რომელმაც მაშინვე შემოუთვალა ს.-დ. ორგანიზაციას, რომ მიეცათ მათთვის ადგილები, სამუშაო და სხვა. ს.-დ. ორგანიზაციამ შეუთვალა, რომ ასე დაყოფა, დაპირდაპირება უსაქმო და საქმიან მუშათა ძლიერ მავნეა, ამიტომ უმჯობესია მოვახდინოთ საერთო კრება საქმიანთა და უსაქმოთა, რომელმაც გამოსძებნოს საშუალებები უსაქმოთა დახმარების აღმოსაჩენათ. მართლაც მოწვეულ იქმნა ასეთი კრება, რომელმაც ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამოირჩია ბიურო, რომელშიაც შევიდა რვა საქმიანი და ცხრა უსაქმო მუშა. ეს ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას და ენერგიულადაც მოქმედებს. ხალხი სრულის ნდობით ეპყრობა მას. მხოლოდ ერთი ფაქტი არის აღსანიშნავი: ძველი ბიუროს მოთხოვნით მრეწველთა საბჭომ გამოაგზავნა ასი მანეთი უსაქმოთა სასარგებლოთ. ეს ფული ჩაიგდეს ხელში ბ. ესერებმა და არ იძლევიან. როცა ახალმა ბიურომ მოსთხოვა მათ ეს ფული, შემოთვალეს: მიიღეთ ჩვენი წარმომადგენლები და მაშინ მოგცემთ ამ ფულსო, თუ არა და, ვერ მოგცემთო. აი, რამდენათ ზრუნავენ ისინი უსაქმოებზე, რამდენათ გულწრფელი იყო მათი სიტყვები.

X.

—

**საძ. სუფსა.** (გურია) ნათქვამია, „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“, მაგრამ არ მეგონა თუ ისე ბრმა გამოდგებოდა დღევანდელ დროში ვინმე, რომ გამეფებას მოინდომებდა, და ისიც აქაურ გლეხებზე, რომლებმაც უკვე ორი სამი წლიწადია რაც ზიზღი გამოუცხადეს ამ პატარა „მეფუკებს“ და არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მათთან. ეს შეეხება, ბატონებო, აქაურ „ბრწყინვალე“ თავადებს, სახელდობრ გურიელებს, რომლებიც წინეთ გაბატონებული იყვნენ აქაურ გლეხ-კაცობაზე და როგორც უნდოდათ ისე ექცეოდნენ მათ, ხოლო ეს ორი წლიწადია რაც მათმა ბრძანებამ ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა. მთავრობასთან კეთილ განწყობილებაში და, მაშასადამე, ხალხთან უკმაყოფილოთ დღემდე ბ. [illegible] გურიელი იყო. დანარჩენები კი თავისთვის იყვნენ და თუ ხელს არ გვიწყობდნენ, წინააღმდეგობას მაინც არ სწევდნენ და გვეგონა მერმეც ასე იქნებოდნენ. მაგრამ მოლოდინი გვიცრუვდა. დღეს მათში აშკარათ გამოვიდა ბ. ვანო დ. გურიელი და მოინდომა ძველი ბატონობის დაბრუნება. ეს ის ვაჟბატონია, რომელმაც სწავლა დაამთავრა უმაღლეს სასწავლებელში. აქამდის იქით აქეთ ქალაქებში იარა და ეს ნახევარი წლიწადია გვესტუმრა. ვიფიქრეთ თუ ხელს არ შეგვიწყობს, წინააღმდეგი არ იქნება დღევანდელი მოძრაობისა, ამიტომ ნდობის თვალით ვუცქერდით. მაგრამ მაგალითმა სხვა დაგვანახვა, მამა მისს სიკვდილის შემდეგ რაც მამული დარჩა უმეტესობა ბანკებში წაიღეს ვალში, ამ ვაჟბატონს კი დარჩა რამოდენიმე ქცევა, რომელსაც დღემდი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, არავის ზიანი არ მიუყენებია მისი მამულისათვის. დღეს გაუგია სადაც, თუ თხოვნა მიეცა მთავრობას: „ტყე დამიჩეხესო“ ფულების ჩაჯიბავო და უთხოვია ქ. გუბერნატორისათვის: მომეცით საშუალება, გლეხებმა თუ რამე მამული გამანადგურესო.—გუბერნატორმა ფიცხლათ მოწერილობა გამოუგზავნა მაზრის უფროსს—მოახდინე გამოძიება და დააჯარიმე მეამბოხენი, რომლებმაც ტყე გაჩეხეს და ერთი ორათ ღირებული ჩააბარე გურიელსაო. მაზრის უფროსმა მოსწერა ლანჩხუთის ბოქაულს, დღესვე გააჩერე ვ. გურიელის მამულზედ მომუშავენი, დააკავე სტანციებზე თუ აქვენ გამოტანილი შეშა და დამნაშავენი დაიბარე 4 აგვისტოსთვის შენს უბანტაში, სადაც თვითონ მე მოვალ და გამოვიძიებ საქმის ვითარებასაო. გუშინ პრისტავი რამდენიმე სტრაჟნიკის თანხლებით ჩამოვიდა სუფსაში, და გაუყვა ბ. ვ. გურიელს ტყეში. მან უჩვენა ის ადგილები სადაც მართლა გაჩეხილი იყო, მაგრამ მას კი არ ეკუთნოდა, არამედ სხვა მემამულეებს, რომლებსაც იჯარით აქვთ გლეხებზედ მიცემული და ამუშავებენ. უთხრა, ეს ყველა ჩემიაო, ამნაირათ იმუშავეს, გაიტანეს სტანციაზედ და ჰყიდიანო. პრისტავმა დაიჯერა ეს ჩვენება, გამოვიდა სტანციაზე, მოვიდა შეშის კანტორებში პოდრიადჩიკებთან და მათ პრიკაშჩიკებს უბრძანა, არ გაუშვათ შეშა საქმის გამორკვევამდის, თორემ სასტიკათ დაისჯებითო. ვ. გურიელმა კი მიმართა მათ შემდეგი უშვერი სიტყვებით: „ქურდებო! თქვენ უყურებთ მაწანწალებს და ბრმათ ემორჩილებით ხალხის კანონებს, მაგრამ მე თქვენ გიჩვენებ სეირსო“. შემდეგ გამოვიდა გარეთ და ხმა მაღლა დაიწყო ლაპარაკი: „მოიცადეთ, ეს ორი სამი წლიწადია იბატონეთ, გეგონათ სული არ გვედგა, მაგრამ აწი მე ვიქნები თქვენი ბატონი და განახვებთ რაგა უნდა მთავრობის და მებატონეების წინააღმდეგობაო. ხალხს სიცილათ არ ეყო ამ ვაჟბატონის საქციელი. საღამოს პრისტავი წავიდა და 4 აგვისტოსათვის დაიბარა ლანჩხუთში სამოცამდე კაცი მაზრის უფროსის დასახვედრებლათ. წასვლის ხანს ბ. ვანო გურიელის მხლებელმა ს. მიქანაძემ თითო მანეთებიანი უთავაზა სტრაჟნიკებს არაყის ფასათ, პრისტავს უსათუოდ თვითონ გურიელი გაუმასპინძლდებოდა.

**ქრისტეფორე.**

—

**სოფ. კულაში.** (ქუთ. მაზრა). გასულ წლის 20 იანვრიდგან აქაური ხალხი სრულიად ჩამოშორდა ძველ მთავრობას და თავიანთ საქმეებს თვითონ (ხალხი) განაგებენ. მაყურებელს სიამოვნებას გვრის როცა თვითეული ამათგანი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს თვითმმართველობის საქმეებში და გულ ახდილათ, სრულ მოქალაქეობრივი გაბედულებით ნათელ ყოფს სიმრუდ-სიმართლეს, რის მეოხებითაც წინანდელი მიდგომ მოდგომამ და ნათლი მამური სამართალმა ადგილი დაუთმო ნამდვილი სამართლიანობას. განვლილი რეპრესიების ნაშთს ვერაფერს შეატყობთ ამათ კრებებსზედ: ყველას ისეთი გაბედულად და თამამად უჭირავთ თავი და ისეთის რიხიანი კილოთი სჯელობენ ამათუ იმ წამოყენებულ საერთო საჭირ-ბოროტო კითხვებზედ ვითომც რეაქციის სახელიც არ გაეგონოთ. სამწუხაროთ ზემოხსენებულ ღირსებებს მოკლებულია კულაშის ერთი უბანი სახელდობრ ნაბაკევის სასისხთავო. ამათი მართლ მსაჯულება ვერ გაცილებია ძველებური „სუდიების“ ნათლიმამური კალაპოტს. მაგალითად ამხანაგ ვლადიმერ სტურუას მოაიყვან რომელსაც ამას წინათ მთელ სასისხთავომ რაღაც მიზეზების გამო ბოიკოტი გამოუცხადა, და როცა მიმართეს სხვა სასისხთაოებსაც რომ ხსენებული ბოიკოტი გაეტარებიათ. სხვებმა ეჭვი შეიტანეს მის სამართლიანობაში. რადგანაც ვლადიმერის პატიოსნებაში ყველა დარწმუნებული იყო, და რომ, შეცდომაში არ შეეყვანა ხსენებულ სასისხთაოს სხვები; ამისთვის საქმე ხელ-მეორედ გამოიძიეს ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის დახმარებით და როგორც გამოირკვა ხსენებული ბოიკოტი რამდენიმე პირების ინიციატივა გამოდგა, კერძო ინტერესებზედ აგებული: რის შემდეგ ამხანაგ სტურუას ბოიკოტი მოხსნეს. უსურვებ ხსენებულ უბნის მცხოვრებთ, რომ კვლავ მაინც არ დაუჯერონ შურის და მტრობის მოტრფიალე პროვოკატორებს რომელთა საზიზღარი მოქმედება სწყვეტს შემაერთებელ ძაფებს და აფერხებს ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

**კაჟი.**

## რუსეთი

—

**დეპუტატ ონიპკოს სამხედრო-საველე სამართალში მიცემა.** ამას წინათ გაზეთებმა ხმა გაავრცელეს დეპუტატი ონიპკო დახვრიტესო. როგორც გამოირკვა, ონიპკო არ დაუხვრეტიათ, მხოლოდ სამხედრო-საველე სამართალში მიუციათ და შეიძლება მართლა დახვრიტონ. ონიპკოს სამართალში მიცემის გამო სტავროპოლის მოქალაქეებს გრანდიოზული მიტინგი გაუმართავთ 24 ივლისს. მიტინგს ათიათასამდე მოქალაქე დასწრებია. ერთ ორატორთაგანს ულაპარაკნია რუსეთში გაბატონებულ ძალმომრეობის შესახებ, რომელიც ხალხის წარმომადგენელსაც კი სამხედრო სამართალში აძლევს. როცა ონიპკოს ვგზავნიდით, თქვა ორატორმა, მან აღგვითქვა თავგანწირვით ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვისო. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ონიპკოს ცოლი და ხალხს მიმართა: „ბატონებო! ის თქვენი დეპუტატია; დღეს მას სიკვდილი მოელის; ყველა ამომრჩეველი ვალდებულია თავისი დეპუტატი სიკვდილისაგან დაიხსნას. მე შეგევედრებით უპატრონოთ ვრჩები“... ხალხს ტირილი მოერია. შემდეგ კიდევ ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა და ბოლოს მიიღეს ასეთი რეზოლიუცია სტოლიპინის სახელზე გასაგზავნათ: „სტავროპოლის ათი ათასი მოქა-

*) კრებაზე დაადგინეს ეს რეზოლიუცია გაეგზავნოს სამტრედიის ამხანაგებს, კოპიო კი ჩვენი გაზეთის რედაქციას. ვ. ღ.

---

დღესაც იმ გვარ საარჩევნო ოლქებათ არის დაყოფილი, როგორც ეს 1869 წელს იყო. მას შემდეგ კი ცხოვრება თვალსაჩინოდ შეიცვალა და საარჩევნო ოლქთა შორის არსებული თანასწორობა დაირღვა. მცხოვრებთა რიცხვი თვალსაჩინოთ გაიზარდა მეტადრე დიდ ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში. მაშინ (1869 წ.) თვითოეული საარჩევნო ოლქი ასი ათასი მცხოვრებიდან შედგებოდა; ამჟამათ ბერლინში თითქმის ორი მილიონი მცხოვრებია, მაგრამ მას მაინც ექვსი დეპუტატის მეტი არა ყავს. მაგრამ ასეთი წესის შეცვლა ქალაქის ამრჩევლების—ე. ი. მუშათა კლასის გაძლიერებას ნიშნავს და ეს კი გერმანიის მდიდრებისთვის ერთობ სახიფათოა.

თუმც ეგრე შეზღუდულია ხალხის საარჩევნო უფლება, მაგრამ წლოვანი მამაკაცების უმრავლესობა მაინც სარგებლობს ამ უფლებით; ამრჩევნი ვერ ხდება საკმაოთ თავისუფლათ და შეგნებულათ, როგორც ამას კონსტიტუცია თხოულობს, არამედ ეკონომიური დამოკიდებულების და სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაბრკოლებათა ზედგავლენით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ უფლების საჭიროება ხალხის ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, რასაც კარგი ნაყოფი მოაქვს. სულ სხვანაირათ არის დაყენებული ეგრეთ წოდებულ ზედა პალატის დეპუტატების არჩევის საქმე. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალ., ინგლისში, პრუსიაში და ავსტრიაში, იქ შედიან სხვა და სხვა გვარი ჩამომავლობითი კანონმდებლები—ლორდები, პერები, თავადები და სხვ. სხვაგან, როგორც, მაგ., იტალიაში, ზედა პალატის წევრებს მეფე ნიშნავს არისტოკრატიისა და მაღალ-ხარისხოვან ჩინოვნიკების წრიდან; ბელგიაში ირჩევენ მსხვილ მდიდრებიდან, რომელნიც 2000 ფრანკს პირდაპირ გადასახადს იხდიან წლიურათ.

გერმანიის ზემო პალატა (Bundesrath—საკავშირო საბჭო) კავშირში მყოფ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შესდგება, მაგრამ ისინი არჩეულები კი არ არიან, როგორც ეს დემოკრატიულ ამერიკაშია,—მათ თავადები, ჰერცოგები და მეფეები ნიშნავენ. ყველა მემკვიდრეობაზე აგებული ზემო პალატა არისტოკრატ-მემამულეთა ბატონობის ნაშთს წარმოადგენს, ბელგიაში ის აშკარათ მდიდრების საკუთრებათ ითვლება, ასე გასინჯეთ—საფრანგეთშიც, მიუხედავათ მისი უფრო დემოკრატიული ხასიათისა, სენატი შემოღებულია ქვემო პალატის დეპუტატების დემოკრატიულ ლტოლვილებათა ასალაგმავათ. საზოგადოება მას დღესაც მონარქიულ იდეების ბურჯათ თვლის; ეს შეხედულება მაშინაც კი იყო გავრცელებული, როცა სენატი რესპუბლიკანელებისაგან შესდგებოდა. ამერიკაში ზემო პალატა თეორეტიულათ დემოკრატიულია. თვითეული შტატი ორ-ორ წარმომადგენელს გზავნის; თუმცა კონსტიტუციის ძალით მათი არჩევა საკანონმდებლო პალატის წევრებს შეუძლიათ, მაგრამ კონსტიტუციონურმა პრაქტიკამ მათ დიდი ხანია ეს უფლება ჩამოართვა. თეორეტიულათ არაპირდაპირი—ორსაფეხურიანი არჩევნები საქმით პირდაპირი გახდა, რადგან პარტიები ნიშნავენ სენატის კანდიდატებს და ყოველმა პარლამენტის კანდიდატმა უსათუოთ უნდა განაცხადოს—რომელ კანდიდატს მისცემს ის ხმას,—როგორც სენატის წევრს. ამისდამიუხედავათ სენატი, როგორც სხვაგან, ამერიკაშიც ცდილობს არისტოკრატიული სახე მიიღოს. საზოგადოებაში მას მეტ პატივს სცემენ, ვინემ ხალხის წარმომადგენლებს და ბევრი მისი წევრი აუარებელი სიმდიდრის პატრონია. როგორც ბრაისი შენიშნავს, „ბევრი სიმდიდრის წყალობით სენატორი გახდა, ზოგმა სიმდიდრე შეიძინა იმიტომ, რომ ის სენატორი იყო“.

ასეთია გარეგანი შეხედულებით ორი საკანონმდებლო პალატის ხასიათი. თეორიის ძალით ბევრ სახელმწიფოში საკანონმდებლო უფლება და ახალი კანონის პროექტის წარდგენა—საკანონმდებლო ინიციატივა—ეკუთვნის ან ორივე პალატას, ან მათ და მეფეს, რომელიც მოქმედებს მინისტრების შემწეობით. ახალმა კანონმა აუცილებლათ ზემოდ დასახელებული სამი ინსტანცია უნდა გაიაროს; გამონაკლს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავალი) განხილვა; აქ ქვემო პალატა უმთავრესს როლს თამაშობს. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის განხილვა პირველი უფლება იყო მთავრობის მოქმედების კონტროლისა, რომელიც ხალხმა მოიპოვა და ეს უფლება დღესაც ყოველი კონსტიტუციის ქვაკუთხედს შეადგენს. პრაქტიკაში ზემო პალატამ დიდი ხანია უპირატესობა ქვემო პალატას დაუთმო. ზემო პალატა, რა უფლებითაც უნდა იყვეს აღჭურვილი კონსტიტუციის ძალით, მხოლოდ კანონის შემაჩერებელი ორგანოა. კონსტიტუციონური უფლების თეორეტიკები ბევრს ლაპარაკობენ ასეთ შეჩერების სარგებლობასა და კანონების ნაჩქარევათ გამოცემის მავნებლობაზე. რა უფრო ცუდია აჩქარება თუ დაგვიანება, ეს შემთხვევაზეა დამოკიდებული, მაგრამ ზემო პალატის შეჩერების უფლება ხშირათ კომპრომისებს იწვევს: კანონი, რომელიც ქვემო პალატას მოსწონს, მაგრამ ზემო იწუნებს, რამდენიმეთ უნდა შეიცვალოს, რომ დამტკიცებას ეღირსოს.

ინგლისის კონსტიტუციის ძალით, თუ ზემო და ქვემო პალატები ვერ შეთანხმდენ, ლორდებმა უნდა დაუთმონ. „მაგრამ“, შენიშნავს დაისი, ვინმემ რომ იკითხოს, რა შემთხვევაში უნდა დაუთმონ ლორდებმაო, ამაზე პასუხის მიცემა შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგ განცხადებას: ზემო პალატა იძულებულია დაუთმოს, როცა დამტკიცდება, რომ ქვემო პალატა ხალხის სურვილის ჭეშმარიტი გამომხატველია.

(შემდეგი იქნება)

დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას დეპუტატი ონიპკო. მთავრობას ნება არ აქვს დასაჯოს ის, ვინც ხალხმა გაგზავნა და ხალხის სურვილის გამომხატველია“. ხალხი დაიშალა და ოთხი საათისთვის ისევ დანიშნა მიტინგი, რომ გაეგო, მიიღეს თუ არა ფოსტაში ტელეგრამა გასაგზავნათ. მეორეჯერ მიტინგი ვეღარ შედგა. თუმც დიდი წვიმა იყო, მაგრამ ხალხი მაინც მოგროვდა და სამ ნაწილათ გაყოფილი ელოდა. გამოჩნდენ ყაზახები. ხალხი „ურა“-ს ძახილით მიეგება მათ. ეს არ ეამათ ყაზახებს თუ სხვა რამ—მათ იშიშვლეს ხმლები და ხალხს დაერიენ. ნაცემი ბევრია.

**პოლიტიკური მოძრაობა გლეხებში.** რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში გლეხები განაგრძობენ სტიქიურ მოძრაობას. წვავენ და ანგრევენ მემამულეების სახლ-კარს, იტაცებენ და იყოფენ პურს, თივას და სხვ. მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება: ზოგან გაფიცვებსაც მართავენ და ზოგან კიდევ წმინდა პოლიტიკურ მოძრაობის ფერხულშიც ებმიან. ავიღოთ, მაგალითად, დაჭერილების განთავისუფლება. კრიაზეცკის მაზრის, პოკროვის საზოგადოების გლეხებს კრებაზე გადაუწყვეტიათ არ იმუშაონ მემამულესთან და რამდენიმე ეკონომიური მოთხოვნილებაც წარუდგენიათ. 22 ივლისს სოფელს სწვევია ბოქაული 20 სტრაჟნიკით და რამდენიმე გლეხი დაუჭერია. ამის გამო რამდენიმე სოფლის გლეხი შეკრებილან, დახვედრიან სტრაჟნიკებს და ტუსაღები გაუთავისუფლებიათ. გაბრაზებული ისპრავნიკი ისევ ეწვია ღამით სოფელს, ახლა კი 30 სტრაჟნიკით; გლეხები ისევ დაიჭირა და ვოლოგდაში უნდა გაეგზავნა, მაგრამ გლეხებმა ისევ გაიშვებინეს.

**გლეხების სულიერი განწყობილება.** სამარის გუბერნიის ერთ სოფელში დუმის გარეკვის შემდეგ, ტბის პირას მიტინგი გაუმართავთ, დასწრებია 700 კაცამდე. მიტინგის შემდეგ ხალხი რევოლიუციონური სიმღერებით და წითელი დროშებით სოფლის სამმართველოსკენ წასულა, იქ დახვედრიათ ათასამდე კაცი. იქვე მდგომ სალდათებს „ურა“-ს ძახილით მიეგებიან. ერთ ორატორ ქალის შემდეგ ულაპარაკნია ბებერ გლეხს. მაკვირვებს, უთქვამს მას, ჩინოვნიკები 40 ათას მანეთს ჯამაგირს ინიშნავენ თავისთვის და ჩვენ რაღაც აბაზის არაყი რომ დავლიოთ ლოთებს დაგვიძახებენო, ეპისკოპოსები 12 ათას მანეთს იღებენ წელიწადში, მაშინ, როდესაც ხალხი შიმშილით იხოცება. შემდეგ ულაპარაკია მუშას დუმის გარეკვის შესახებ. „დამფუძნებელი კრება უნდა იქნას მოწვეული“, ერთხმათ იგრიალა ხალხმა.

**„გლეხთა დეპუტატების საბჭო“.** ნოვგოროდის გუბერნიის, კირილოვის მაზრიდან იწერებიან: გლეხებს მოსწყენიათ ლოდინი, გორემიკინის სამინისტროს ცნობილმა დეკლარაციამ, სადაც ნათქვამი იყო, რომ გლეხები მიწას და თავისუფლებას ვერ მიიპოვებენო, მთავრობის სისასტიკემ ხარჯების აკრეფის დროს გლეხებს თვალები აუხილეს, და დღეს მთავრობისაგან არაფერს გამოელიან. ერთ სოფელში გლეხებს შეუდგენიათ „გლეხთა დეპუტატების საბჭო“, რომლის გარშემო რამდენიმე სოფლის მცხოვრებლები იყრიან თავს. საბჭოს ორგანიზატორათ და სულის ჩამდგმელათ პოლიცია თურმე ყოფილ სოფლის მასწავლებელს თვლის, რომელსაც გააფთრებული დაეძებს. ამ მასწავლებლის ჯავრს პოლიცია სხვებზე ეყრის და სოფლის მასწავლებლებს ზოგს ასახლებს და ზოგს ატუსაღებს. „გლეხთა დეპუტატების საბჭო“ კი მოქმედებას განაგრძობს.

**მეფის კარის კაცები გლეხებში პროპაგანდას ეწევიან.** მისი უდიდებულესობის სასახლის გოფმეისტერ **ხიტროვოს** შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნია თავის მამულებში მცხოვრებ გლეხებისათვის: „თქვენ მოგმართავთ.. ჩემ ყურებამდის მოაღწია სამწუხარო ცნობებმა იმის შესახებ, რომ თქვენ თურმე არა თუ არ ასრულებთ დადებულ პირობებს, პირიქით უკანონო მოქმედებასაც კი უშვებთ იმით, რომ ადგენთ განჩინებას არ მომკათ პური ჩემ ადგილებში, შედიხართ ჩემ ბაღებში და იქაურობას ათხრებთ. თუ შემდეგშიაც არ დაიშლით, მე მივმართავ პირდაპირ მის უდიდებულესობას, რომლის კარის ახლოს მე ვიმყოფები და მოვახსენებ, როგორ ძირს უთხრიან წესიერებას მისი ქვეშევრდომნი. მეფე თავის მოწყალებით ზრუნავს თქვენთვის, მაგრამ თქვენ მის ბრძანებას უნდა ელოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებით, რადგანაც თქვენი მამაპაპაც მის უდიდებულესობას ემსახურებოდნენ. მამა-მეფე ამას არ დაივიწყებს; იცოდეთ, თუ ჩემ საკუთრებას შეეხებით სასტიკათ დაისჯებით; შეიძლება ის, რასაც ნებაყოფლობით მოიპოვებთ. მეფე ბძანებს სხვისა საკუთრების პატივს მცემელნი იყვნეთ და თვითნებობისთვის სჯის. სასახლის გოფმეისტერი, ტაინი სოვეტნიკი ალექსეი ზახაროვიჩ ხიტროვო“.

**პროფესიონალურ კავშირებს სდევნიან.** ბეჭდვითი საქმის მუშების კავშირის წარმომადგენელს უთხოვნია მოსკოვის გრადონაჩალნიკისთვის კავშირის გახსნა. გრადონაჩალნიკს უპასუხნია, კავშირი არ გაიხსნება, სანამ მოსკოვში განსაკუთრებული წესები არსებობენო.

— 29 ივლისს პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ბრძანებით დაუხურავთ მებულკეების კავშირის სადგომი.

**ბურჟუაზია უსაქმოთ დარჩენილებს ამხანაგების გაცემას ურჩევს.** უსაქმოთ დარჩენილ მუშების რიცხვი მატულობს და მათი გაჭირვებაც იზრდება. უსაქმოთ დარჩენილების საბჭო პოლიციამ გარეკა. ამით ისარგებლეს ხაზეინებმა—ნახშირის მწარმოებელთა სინდიკატმა—და უსაქმოთ დარჩენილები გაფიცულების ადგილას მოიწვიეს—დღეში 1 მ. 50 კ. დაპირდენ. მუშებმა შეუთვალეს: ვერ მოვალთ, რადგან გაფიცვის ჩაშლა და ამხანაგების ღალატი არა გვსურსო.

**მომავალი დუმა.** მომავალ დუმის წევრთა რიცხვს თითქმის ერთი-ორათ გაადიდებენ. ამისთვის სასახლის არხიტექტორისათვის უბრძანებიათ წარმოადგინოს პროექტი ტავრიდის სასახლის გადაკეთების შესახებ. სასახლეში უნდა იქნეს 860 ადგილი დეპუტატებისათვის და აგრეთვე რაც შეიძლება მეტი ადგილი მთავრობისა და პრესის წარმომადგენლებისათვის და აგრეთვე ხალხისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო შესდგომია უკვე მომხდარ არჩევნების შესახებ ცნობების შეკრებას. უნდა გაიგონ სხვათა შორის, რამდენმა ამრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. რაც შეეხება მომავალ არჩევნებს სამინისტრო ცდილობს რაც შეიძლება მეტი მთავრობის მომხრე გაიყვანოს, რისთვისაც საჭიროთ ცნობს ყველა მემარჯვენე პარტიების მოქმედების გაერთიანებას. არჩევნები ნოემბერში მოხდებაო, ამბობენ.

### მწიგნობრობის საქმე ქუთაისის გუბერნიაში „კოლხიდა“ *)

თვით მაღაზიაში სასინჯათ ჯერჯერობით შემდეგი შეღავათიანი პირობები შემოვიღე: 1) ვინც ნაღდ ფულზე იყიდის ერთ მანეთიდან ხუთი მან. წიგნებს,—მას დაეთმობა 5—15%; 2) ვინც იყიდის 5, 15, 20, 30 და 50 მან. წიგნებს, მას 15—20% მიეცემა შეღავათი და ზოგიერთ ჩემთვის უფრო შეღავათიან გამოცემებზე შეიძლია მეტიც დაუკლო. 3) ხოლო საიმედო აგენტებს საკომისიოთ ვაძლევ წიგნებს 15—20% და ზოგს 22—25% დაკლებით.

ამ ხელსაყრელ ფასებში ვაწვდი მსურველებს წიგნებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი ეცდებიან მათ გავრცელებას, და ამ რიგათ მეც საშვალებას მომცემენ თანამედროვე ლიტერატურას თვალ-ყური ვადევნო და თავ-თავის დროზე მივაწოდო იგი მკითხველებს. ამასთანავე იმედი მაქვს ჩემი თანამშრომელი აგენტები, რომელთა სამოქმედო ადგილებს და ვინაობას სხვა დროს გამოვაცხადებ,—ჩემ მაღაზიის ნდობას არ გაამტყუნებენ და თავთავის დროზე გაასწორებენ ანგარიშებს, რადგან ნაცნობობით ნდობაზე დამყარებული მწიგნობრობის ასეთი ორგანიზაცია განვავითარო და პირნათლად ვიყო იმ პირებთან, თუ ფირმებთან, რომლებმაც ასეთი ნდობა გამოგვიცხადეს. ერთი სიტყვით წინააღმდეგ „ბოროტი ენების“ პირებისა, მზათ ვარ „ახალ-მკითხველ“ გონების საზრდო რაც შესაძლებელია შეღავათიან პირობებში მივაწოდო და მწიგნობრობის გავრცელების საქმეში წესრიგი შევიტანო და საექსპლოატაციო ქერქი, რომელიც მას ეხდება დღეს, ჩამოვაცალო. ამ მიზნისათვის კი, რა თქმა უნდა, მოუწოდებ არა მარტო აგენტებს, პრესას ყველა წარმომადგენლებს და გამომცემლებს, რათა იმათაც მიიღონ შრომა ექსპლოატატორულ, სავაჭრო საგნათ ნუ გადააქცევენ მწერლობის საზრდო წმინდა საქმეს.

დღეს კი, რამდენათაც ამ საქმეში პრაქტიკულათ დაკვირვება-გამოცდილებამ მაჩვენა, ბევრმა ჯიბის გასასქელებელ, სავაჭრო საგნათ გაიხადა და იხდის. მარა ამ წმინდა სახალხო საქმეს იმისთანებმაც კი მოკიდეს და კიდებენ ხელს, რომლებსაც არა თუ ლიტერატურის თვალ-ყურის დევნება შეუძლიათ და ავის კარგისაგან გარჩევა, ხეირიანათ მოკითხვის ბარათებსაც ვერ დასწერენ, რომ რედაქციებს თავიანთი აზრი გააგებინონ. ამნაირათ მწიგნობრობით მოსაქმე აგენტებს, რა თქმა უნდა, კაპეიკების ჯიბეში ჩაწყობა უფრო აინტერესებთ, ვინემ იდეური, შეგნებულათ ამ საქმის მოწყობა.

ვიმეორებ, ვცდილობ რა ამ წმინდა საქმეს მისი შეუფერებელი ქერქი ჩამოვაცილო, ვაცხადებდი და ვაცხადებ, რომ ყოველ გვარ ჟურნალ-გაზეთებს, როგორც კავკასიისას ისე სატახტო ქალაქებისას ვყიდი იმ ფასებში რაც ზედ აწერია, ე. ი. 3 კაპ., 5 კაპ., 6 კაპ., 8 კაპ. და 10 კაპ. და არა ისე, როგორც სპეკულიაცია აქვთ გამოჩენილი გაზეთებზე ტფილისში, ბაქოს, ბათუმსა და სხვა ქალაქებში და რკინის გზის სადგურებზე, სადაც არა თუ სატახტო ქალაქების გაზეთებს „Страна“, „Наша жизнь“, „Нов. время“, „Мысль“, „Рѣчь“, „Встань спящій“, და სხ. თითო შაურის მაგიერ 8—10 კაპ. და ზოგი 15—20 კაპ. ყიდიან, კავკასიის ადგილობრივ გაზეთებსაც კი უმატებენ თითო-ოროლ კაპეიკს.

აი ეს უნდა ქონდეს მიზნათ იდეურათ ამ საქმის დამწყებს, მაგრამ ორიოდ გროშის გამორჩენის სურვილმა, ვიმეორებ, ბევრი არ მოასვენა და ფიქრობენ ამ საქმით ფულებს მოვიგებთო და ამ ქვენა მიზნით გამსჭვალულნი შეუდგენ და უდგებიან საქმეს. ქუთაისში ერთმა ამგვარმა ეგზემპლიარმა უკვე გაალო „დუქანი“ ეთერი ხიდის ყურეში და სხვა რამეებთან ერთათ გაზეთებით ვაჭრობასაც მიყო ხელი და თავის უფროსი ძმების მაგალითებით წახალისებული ზედმეტ ფასებში ყიდის გონების საზრდოს და, როცა მას კითხავენ რატომ უმატებ ფასებსო, იგიც უპასუხებს: „ახლა ყველაფერი გაძვირებულია, პეტერბურგიდან და მოსკოვიდან გაზეთებს მომაქვს და ამას ხარჯი არ უნდაო“. დიახ, სხვასაც იქიდან მოაქვს ეს გაზეთები, მაგრამ 3, 4 და 5 კ. მოგების მადა როდი აქვს აღძრული, იგი ნახევარ კაპ. ან ერთ კაპ. ჯერდება თავის გასამრჯელოს და ზოგჯერ სულ არაფერი დარჩება შრომისათვის, მაგრამ გავრცელების მიზნით ყიდის იმას.

ასე რომ, ამგვარის ანგარიშის მიზნით ამ წმინდა საქმის ხელის მოკიდებით იქნებ ვინმემ ორიოდ გროში დღეს კი იშოვოს, მაგრამ საბოლოოთ იგი ამ საქმეს ვერ შერჩება, რადგან დღემდი თუ ეს საქმე საზოგადოების კონტროლს მოკლებული იყო, დღეს იგი გამოჩენილია „ახალ-თაობის“ და „ახალ-მკითხველის“ სახით, რომელიც ამგვარ წმინდა სახალხო საქმეში ბინძურ ხელის ფათურს არავის აპატიებს. ამისათვის ამგვარ აგენტებს ურჩევთ წესიერ, სამართლიან გზას დაადგენ და არშინობით ფართალის ან სხვა საქონლის ყიდვათ ნუ მიიჩნევენ მწიგნობრობის საქმეს...

სიდორე კვიცარიძე.

*) იხ. „ტალღა“ მე-7 №.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

5 აგვისტო

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლათ გაირჩა საქმე ვექილ ზარუდინის, ელისეევის, როზენტალის, სიდორენკოს, ბარსოვის და შელრცის, რომლებსაც 15 ოქტომბერს სასამართლოში დემონსტრაციის მოხდენას აბრალებდენ, რომ სხდომა შეეწყვიტეთ. სასამართლომ ყველა დამნაშავეებს შვიდ-შვიდი დღით სატუსაღოში ჯდომა მიუსაჯა.

**კრასნოიარსკი.** ირკუტსკის სამხედრო სასამართლოს პროკურორის განკარგულებით თავდებით უნდა გაანთავისუფლონ 200 კაცი, რომლებსაც შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდენ. 121 კაცი უკვე გაანთავისუფლეს.

**მინსკი.** ჯარისადმი ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ ოთხ სალდათს რკინის გზის ბატალიონისა, რომელიც ბარანოვიჩში დაბანაკებული, სამხედრო სამართალში აძლევენ, რადგან, როცა კაზარმის წინ კრება ქონდათ სალდათებს და გარეშე პირებს, მათ მოუწოდეს კაზარმაში მყოფ სალდათებს იარაღი აეღოთ და ისე წასულიყვნენ მოთხოვნების წარსადგენათ.

**ადესა.** ექიმის შვილი სტუდენტი ანატოლი ტომაშევსკი ძმას წაეჩხუბა, რის შემდეგ თავი მოიწამლა და მოკვდა. ძმამაც იქვე რევოლვერით თავი მოიკლა.

**დმიტროვსკი.** საოლქო სასამართლომ წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით გაარჩია არლოვ-დავიდოვის ტყის გაჩეხვის საქმე. 11 დამნაშავეთაგან სამს 4—8 თვემდე ციხე გადაუწყვიტეს, დანარჩენების წინააღმდეგ პროკურორმა უარი განაცხადა. გოლოვინის მამულის განადგურებისთვის ხუთ გლეხს 10—20 დღე ციხე მიუსაჯეს.

**რეველი.** საზღვაო სამხედრო სასამართლოს განაჩენი აჯანყებულ მატროსების შესახებ სისრულეში მოიყვანეს. 17 მატროსი და 1 აგიტატორი დილით ვიშგოროდის ციხეში დახვრიტეს.

**რეველი.** სამხედრო სასამართლომ კიდევ 12 მატროსს ექვსიდან ოც წლამდე კატორღა მიუსაჯა, 12 მატროსს დისციპლინარული ბატალიონი, 15 დისციპლინარული დასჯა და 34 გაამართლა. სამი გარეშე პირი სამოქალაქო პროკურორს გადაეცა.

**ადესა.** გაიფიცენ მეხანიკები და მაშინისტები. ნიკოლაევისა და ხერსონისკენ გემები აღარ წასულა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკის ანგარიშიდან ჩანს, რომ პირველ აგვისტოს გამოუშვიათ 1 მილიარდი და 190 მილიონი მანეთი ქაღალდის ფული, ოქრო 1 მილიარდი და 29 მილიონი. „დვადცატი ვეკის“ მაგიერ ხვალ გამოდის „ოკო“.

**ვარშავა.** 4 საათზე გზით მიმავალ გენერალ-გუბერნატორ სკალონს კათოლიკეთა ქუჩაზე სახლის ფანჯრიდან რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. ორი გასკდა, მარა გენერალი გადარჩა; მოკლულია ერთი უბნის ზედამხედველი და ერთი გარეშე პირი, დაჭრილია რამდენიმე კაცი.

**დონის-როსტოვი.** დილის ცხრა საათზე, ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსთან შევიდა სამი უცნობი, დაჰკრეს თავში რევოლვერის კონდახი, გაიტაცეს 2695 მ. და გაიქცენ.

**კრონშტადტი.** დროებით სამხედრო სასამართლომ დაასრულა გამოძიება 144 სალდათის და 3 გარეშე პირისა, რომლებსაც ბრალს სდებენ შეიარაღებულ აჯანყებასა და „კონსტანტინის“ ფორტის დაპყრობაში. თათბირი აქვთ. რეზოლიუციას ალბათ დღეს ღამე გამოიტანენ.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორს სკალონს ექვსი ყუმბარა ესროლეს სახლიდან № 12, სადაც რამდენიმე ხნის წინათ სამმა უცნობმა ქალმა დაიჭირა ოთახი. ორი ყუმბარა ტროტუართან ახლო გასკდა და ორ ადლამდე მიწა ამოთხარა. მსუბუქათ დაიჭრა სამი კაზაკი, უბნის ზედამხედველი და ბავშვი. ორი გაუვარდნელი ყუმბარა კანფეტების კოლოფის მსგავსია და ქაღალდში იყო შეხვეული, დანარჩენი ორი აგურებს გავს. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალენ. 12 №-რი სახლის ოთახი ცარიელი აღმოჩნდა.

**ეკატერინოსლავი.** სოფ. ჩემკაში გლეხებს მიტინგი ქონდათ. დარაჯებმა მოინდომეს დაშლა, მაგრამ გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. დაჭრილია რვა გლეხი. ურიადნიკი მოკლა ბრბომ.

**ნიუ-იორკი.** ვალპარაისოში მიწის ძვრა მოხდა. ყველა სახლები დაზიანდა. ღამის განმავლობაში ცეცხლი გაჩნდა. რამდენიმე ასი კაცი ცეცხლმა იმსხვერპლა. ტელეგრაფი აღარ მუშაობს. მიწის ძვრა მოხდა აგრეთვე მენდოზაში. ზარალი არ იციან.

**ვალპარაისო.** 4 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე, მოულოდნელათ მიწის ძვრა მოხდა. მაშინვე ცეცხლი გაჩნდა. ბევრი დაიღუპა ცეცხლში. ხალხი შეშინებულია. ცეცხლი ისევ არის. ეშინიანთ. სანტიაგოს გემები ჯერ არ დაზარალებულა.

6 აგვისტო.

**რიგა.** ვენდენსკის მაზრაში, დროსტენგოფის მამულში უცნობმა ბოროტ-გამზრახველმა მოკლა ურიადნიკი და მიიმალა.

**კრონშტადტი.** დროებით სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება სამხედრო აჯანყებაში პირველი რიგის მონაწილეთა შესახებ გენერალმა ბელიაევმა დაამტკიცა. განაჩენს ხვალ სისრულეში მოიყვანენ.

**იუზოვკა.** მადნების მუშების დიდი მიტინგი მოხდა. მოვიდა დრაგუნების ესკადრონი და ხალხის გარეკა მოინდომეს. დრაგუნებს სროლა აუტეხეს. ჯარმა ხუთი ზალპი მისცა. დაჭრილები და მოკლულები ბევრია, დაჭრილია რამდენიმე ცხენი. პოლიციამ დაატუსაღა 18 კაცი. მუშები მეტის მეტათ აღელვებული არიან. პოლიცია ჩხრეკს სახლებს. დაიჭირეს 30 რევოლიუციონერი.

**დონის-როსტოვი.** ფოსტა ტელეგრაფის უფროსის გაძარცვაში, როგორც უკანასკნელმა სთქვა, ყოფილ ტელეგრაფის მოხელეს მიუღია მონაწილეობა, რომელიც მეშჩანის ქუჩაზე აღმოაჩინეს, იპოვეს ბრაუნინგები, ბევრი პატრონები და არა ლეგალური ლიტერატურა. დაიჭირეს სამი.

**კიევი.** ბეჭდვითი საქმის მწარმოებლებმა თავიანთ კრებაზე შრომის საზოგადო პირობები შეიმუშავეს. სამუშაო დღე განისაზღვრება ცხრა საათით. ვინც თვიურათ 30 მან. იღებს, ემატება 10 პროცენტი, ვინც 50 მან. იღებს 5 პროც., ავათმყოფობის დროს ნახევარი ჯამაგირი, ან ქირა მიეცემა, წამლობას ხაზეინები თავის ხარჯზე არ ღებულობენ. 1000 რუსული ასოს აწყობის ფასათ ეძლევა 18—27 კაპეიკამდე, უცხოეთის 23—29 კაპ.

**იუზოვკა.** სოფელ კუზმენოვკაში, რამდენიმე შეიარაღებული უცნობები, რომლებმაც ანარქისტები უწოდეს თავის თავს, შეიჭრენ, მაღაზიაში გაიტაცეს 950 მანეთი და მიიმალენ.

**მინსკი.** მიწების მომწესრიგებელ კომისიების არჩევამ წესიერათ ჩაიარა. გლეხებს არჩევნებზე უარი არ უთქვამთ.

**ნიკოლაევი.** რვა შეიარაღებული მძარცველები თავს დაესხენ ჩერნომორსკის ქარხნის არტელშჩიკს, მოკლეს ის და თანამხლები პოლიციელი, წაართვეს 27,000 მანეთი და გაიქცენ. მკვლელობა დღით მოხდა ქუჩაში.

**პეტერბურგი.** რადგან გაზეთები კი… ავრცელებენ ხმებს სამხედრო დიქტატორის გამოცხადების შესახებ, სააგენტოს დავალებული აქვს გამოაცხადოს, რომ ამგვარ ცნობებს არავითარი საბუთი არ აქვს და ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

**კრონშტადტი.** სამხედრო სასამართლომ … ათ კაცს მათ რიცხვში ორ გარეშე პირს დახვრეტა გადაუწყვიტა. 15 გაამართლა, დანარჩენებს სხვადასხვა ვადით კატორღა გადაუწყვიტა.

**ელისავეტპოლი.** დჟევანშირის მაზრაში პოდპოლკოვნიკ ვიკერნის დამსჯელ რაზმს 2 და 8 აგვისტოს სამი სოფლის თათრებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. სოფელი დასაჯეს, … არიან მოკლულები.

**რიგა.** დღისით ოთხმა შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვეს ნოქარი, რომელსაც 700 მ. მიქონდა საპოლიციო ნაწილიდან. უბნის ზედამხედველი და გოროდოვოი … გაგზავნეს. პონტონის ხიდთან ისინი შეხვდენ საეჭვო პირებს. უცნობებმა, როგორც კი დაინახეს პოლიციელები, სროლა აუტეხეს, მოკლეს უბნის ზედამხედველი და მძიმეთ დასჭრეს გოროდოვოი.

**სამარა.** ესტლიანდიის პოლკის სალდათებმა დაიჭირეს ყაზარმაში მისული აგიტატორები და მთავრობას გადასცეს, დაჭრილებს ასი ცალი პრაკლამაციები უპოვნეს.

**სარატოვი.** გაძარცვეს ვოლჟსკის ქარხნის არტელშჩიკი, რომელსაც ქალაქში რამდენიმე ათასი მანეთი მიქონდა. მძარცველები გაიქცენ.

**ხარკოვი.** საღამოზე შვიდი მძარცველი შევარდა რუსეთის ტრანსპორტის საზოგადოების კანტორაში, წაართვეს კანტორშჩიკს 4050 მანეთი და გაიქცენ. მძარცველებს ხელში ყუმბარა ეჭირათ.

**მინსკი.** სოფლის მუშების გაფიცვა იგუმენსკის მაზრაში არ მოხერხდა. ბევრი გლეხები გაფიცვას არ მიემხრენ.

**ვარშავა.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა გენერალ სკალონმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ხელმწიფე იმპერატორისაგან: „გმადლობ უფალს თქვენი სასწაულებრივ გადარჩენისათვის ჩემი და რუსეთის სასარგებლოთ, სულით არ დაეცეთ, არ შე…რკეთ და ენერგიულათ ებრძოლეთ გონებადაკარგულ კრამოლას. ნიკოლოზი“.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ … სი პირველი სხდომა პოლიტიკურ პრო… მის უმთავრეს მუხლების შემუშავებას … ნდომა და იმ კანონ-პროექტების განხილვა დაიწყო, რომლებიც დუმას უნდა წარუდგინოს. შემდეგ კრებებზე საბჭო განიხილავს იმ ზომების პროექტს, რომლებიც დუმის მოწვევამდე უნდა მიიღონ.

**კრონშტადტი.** რვა აგვისტოს სამხედრო სასამართლო მეორე რიგის დამნაშავეთა საქმის განხილვას შეუდგება. მათ რიცხვში დუმის ყოფილი წევრი ონიპკო ურევია.

**ბათუმი.** მოკლეს რკინის გზის … უფროსი.

**ეკატერინოსლავი.** გუშინ საავადმყოფოდან გაქცეული ანარქისტი გოლ… სოფ. ამურში აღმოაჩინეს. პოლიციის … ხლოების დროს მას უნდოდა ყუმბარის … ფეთქებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და … დეგ თავი მოიკლა. აღმოაჩინეს ყუმბარის საწყობი. გაჩხრეკის დროს მძიმეთ დაჭრეს დარაჯი.

**ჰელსინგფორსი.** სენატი დასთანხმდა სამხედრო მინისტრის წინადადებას ფინლიანდიაზე გავრცელებულ იქნას, რო… დროებითი ზომა, იმპერიის ის კანონ… რომლებიც იარაღის შემოტანას ეხება.

**ფრანკფურტი მაინზე.** აქ მოვიდნენ … ფი და გრაფინია ვიტე და გაემგზავრნენ ვილგელმსჰოეში, სადაც ისინი იმპერატორმა ვილჰელმმა მიიპატიჟა.

**თეირანი.** თათრის ჯარი უომრათ … სპარსეთის ადგილებს საზღვრებთან.

**თეირანი.** დიდის ამბით გახსნეს პირველი პარლამენტი, დაბრუნებული უმაღლესი სამღვდელოების თანდასწრებით, რომ… სამ დღეს შაჰთან იქნებიან სტუმრათ … არჩევნების დროს შესახებ ჯერ არაფერი …

რედ.-გამომცემელი ი. კარგარეთელი

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ტფილისი, [illegible] ქუჩა,